# საერთო გაზეთი

№1 (459) • 17 იანვარი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ტერორიზმი და შინაური „ტერორისტები“



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმთან ბრძოლაში მსოფლიოში ერთ-ერთ წარმატებულ უწყებადაა მიჩნეული

**პანკისის ხეობაში ტერორისტული დაჯგუფებების „დამფუძნებლები“ „ნაციონალები“ არიან**

## პენისი კალმის ნაცვლად, თანამედროვე პროლეტკულტელები და „წმინდანთა“ დისციპლინა...







„...თქვენ, რომლებიც ყ..ამოგდებულები და შიშველ-ტიტვლები დატანტალებთ ქართულ მწერლობაში, თქვენ, რომლებიც ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ გარყვნათ, გააბითუროთ, გაათახსიროთ საკუთარი ერი, რადგან ეს გლობალიზმის საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი და გაყიდვადი „პროდუქტია“, ჩვეულებრივი მოღალატეები და გამყიდველები ხართ და მეტი არაფერი!“

## არც მკვლელი ვარ და არც ნარკობარონი, მაგრამ იქნებ მაინც შემიწყალოთ, ჩემო მოწყალეო პრეზიდენტო!



## არ რცხვენია შალვა ნათელაშვილს, ასე რომ გაიმასხარავა თავი?




**შალვა ნათელაშვილი:** ლოგინში მძინარე ჩაგვიცხრილეს სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა

## რა მნიშვნელობა აქვს ფაროსანა შეგვჭამს თუ ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატი დაგვხოცავს?!



**„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# ტერორიზმი და შინაური „ტერორისტები“

არც ერთ პანკისელს, რომლებიც საინფორმაციო საშუალებებში კომენტარებს აკეთებდნენ პანკისის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, არ გაუკეთებია მკვეთრი და აგრესიული განცხადებები ზოგადად ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ისინი ითხოვენ ობიექტურ და მიუკერძოებელ გამოძიებას და ეს სავსებით ნორმალური და მისაღები მოთხოვნაა.

ქისტების არა, მაგრამ იმ ქართველი პოლიტიკოსების, იმ პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისა კი ნამდვილად მიკვირს, რომლებიც პირზე ადგებიან საქართველოს და მის ხელისუფლებას და მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰკივიან, რომ ქართული სახელმწიფო მკვლელი სახელმწიფოა.

ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა ისიც კი იკადრა, რომ დუისში სამძიმარზე ჩასულმა, თემირლანის ახლადგათხრილ საფლავთან პოლიტიკური განცხადება გააკეთა და კონკრეტულ პიროვნებას და ხელისუფლებას, რომელიც ვითომ ამ პიროვნებას ემორჩილება, ამ ახალგაზრდა კაცის მკვლელობაში ღიად დასდო ბრალი და ეს გააკეთა მწუხარებისგან ისედაც თავზარდაცემული მშობლების და პანკისელების წინაშე.

ეს კაცი, კარგა ხანია, საერთაშორისო არენაზე საკუთარი ქვეყნის დამსმენად და ჩამშვებად იქცა, რომელიც ერთი ადამიანისადმი პათოლოგიური სიძულვილის გამო მზად არის, მთელი ქვეყანა გასწიროს და საფრთხის ქვეშ დააყენოს, ოღონდ იმ ერთ ადამიანს რაიმე ზიანი მიადგეს.

ასე იყო ამჯერადაც...

არადა, ეს პოლიტიკოსი საქართველოს პრეზიდენტობაზე აპირებს კენჭის ყრას.

კი, ბატონო, იყაროს, მაგრამ სანამ ამას გააკეთებს, იქნებ ცნობა წარმოადგინოს, რომ ფსიქიკურად ჯანმრთელია, თორემ ერთ ჩვენს ნაპრეზიდენტალს ხომ დასდევს ნახევარი მსოფლიო დამამშვიდებლებით და ახლა ეს მეორეც თუ დაემატა, ნამეტანი იქნება.

ისიც საკითხავია, ამ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი, რომელი უცხო ქვეყნის ინტერესებს ემსახურება, საკუთარ სახელმწიფოს ასე რომ უპირისპირდება და კრიჭაში უდგას?

ან ისეთი რა პრივილეგიებით სარგებლობენ, რომ ძალოვანმა სტრუქტურებმა მათ შორის, უსაფრთხოების სამსახურმაც, მათ უნდა შეუთანხმონ და მათ უნდა გაანდონ თურმე წინასწარ სპეცოპერაციების ჩატარების დეტალები და ოპერაციის დამთავრების შემდეგ მათვე უნდა ჩააბარონ ანგარიში?

საქართველოს სპეცსამსახურებმა რა გააკეთეს ისეთი, რასაც დანარჩენ მსოფლიოში თითქმის ყოველ კვირას არ აკეთებენ სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები, რომლებიც ერთ საეჭვო გატოკებაზეც კი ადგილზე ახდენენ ტერორიზმში ეჭვმიტანილის ნეიტრალიზებას.

რა თქმა უნდა, დიდი ტრაგედიაა ის, რაც დუისში მოხდა, ტრაგედია, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტერორიზმთან ბრძოლაზე უარი ვთქვათ, ჩვენი უსაფრთხოების სამსახურებს კომპლექსები გავუჩინოთ და დამნაშავეებად გამოვაცხადოთ მაშინ, როცა მაღალი პროფესიონალიზმისა და თავდადებული მოქმედებების გამო ისინი საქართველოს მოქალაქეებისგან ნამდვილად იმსახურებენ მადლობას.

კითხვები არსებობს საინფორმაციო საშუალებების ზოგიერთი წარმომადგენლის მისამართითაც, რომელთა მოქმედებები ხშირად ძალიან ჰგავს საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციას.

შეიძლება იყო ყვითელი პრესა, მაგრამ ყვითელ პრესასაც აქვს თავისი საზღვრები, რომლის გადალახვა დაუშვებელია, დასჯადია.

იყო ყვითელი პრესა და შავ საქმეებს ემსახურებოდე, თანაც თავის დასაცავად სიტყვის თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს იფარებდე ფარად, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დიდი უზნეობა და ფარისევლობაა.

საერთაშორისო ტერორიზმმა, რომლის ფრაგმენტები საქართველოსაც მოსწვდა, არნახული მასშტაბები მიიღო.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით, ძალიან ახლოს იმყოფება ამ შემზარავი ბოროტების სამოქმედო არეალთან!

ტერორი მხოლოდ ის არ არის, როცა ადამიანებს თუ ობიექტებს აფეთქებენ.

ტერორია ისიც, როცა მშობლიურ სახელმწიფოს აშანტაჟებ, ცილს სწამებ, დანაშაულში სდებ ბრალს, დესტაბილიზაციით ემუქრები, მოკლედ რომ მოვჭრათ, ატერორებ, რითაც შეგიძლია და როგორც შეგიძლია.

აი, ასეთი შინაური „ტერორისტები“ მოგვიმრავლდნენ ქვეყანაში, რომლებიც, უნდათ მათ ეს თუ არ უნდათ, ნამდვილი ტერორისტების უნებლიე მოკავშირეები არიან. იქნებ დროა, მავანთა და მავანთა ქმედებებს სწორედ ამ კუთხით შევხედოთ და ის პასუხი მოვთხოვოთ, რასაც ისინი იმსახურებენ.

„საერთო გაზეთი“

# სიკვდილის

## საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმთან ბრძოლაში მსოფლიოში ერთ-ერთ წარმატებულ უწყებადაა მიჩნეული



უცნაური ხალხი გამოვდექით ქართველები, დავგმეთ ბესლანის ტერაქტი, 11 სექტემბრის ტერაქტი, ვიგლოვეთ საფრანგეთში მომხდარი ტერაქტის შედეგად დახოცილი ადამიანები და ასე შემდეგ, მაგრამ როგორც კი ჩვენს სამშობლოში გაჩნდა ტერაქტის საშიშროება, უცებ აღმოვჩნდით ტერორიზმში ეჭვმიტანილების დამცველები.

ფაქტები: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, სპეცრაზმელმა თემირლან მაჩალიკაშვილს მას შემდეგ ესროლა, რაც მან ხელყუმბარის აფეთქება სცადა. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრები. სპეცრაზმელთა მიერ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტს პროკურატურა იძიებს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ნუგზარ წიკლაურმა თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ განაცხადა, რომ მისი პარტია მხარს დაუჭერს, თუკი პანკისის ხეობაში დაიწყება საპროტესტო აქციები. სოციალურ ქსელში „ნაცები“და მათი „მონათესავე“ არტიები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და საპროტესტო „ტალღის აგორებას“ ცდილობენ და ათასნაირი არასერიოზული ინფორმაციის გავრცელებით „სუს“-ის დისკრედიტაციას ამაოდ ლამობენ.

სახელისუფლო გუნდის წარმომადგენლები ოპონენტებს ვითარების ხელოვნურად დაძაბვის მცდელობაში ადანაშაულებენ: „როდესაც ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზეც კი უარს ამბობს კონკრეტულ ადამიანთან მიმართებით, მე მგონი, ეს ძალიან ბევრ რამეზე მიანიშნებს და მე მგონია, რომ ნამდვილად არის აქ იმის საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ სამწუხაროდ, ეს გარდაცვლილი ახალგაზრდა ნამდვილად იყო ტერორისტულ საქმიანობაში ჩართული და ამას არ ამბობენ მხოლოდ ქართული სპეცსამსახურები, ამას ერთ-ერთი განვითარებული, დემოკრატიული და მისაბაძი ქვეყნის შს მინისტრიც კი ამბობს“, – განაცხადა ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით სოფო კილაძემ.

ცოტნე გამსახურდიამ აღნიშნული პროცესები ასე შეაფასა - „ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ იყო ერთერთი უსასტიკესი და უბნელესი წარმონაქმნი თანამედროვეობის ისტორიაში. პანკისის ხეობიდან იქ საბრძოლველად დაახლოებით ასამდე ახალგაზრდა იყო წასული, უმეტესი ნაწილი დაიღუპა. მაინტერესებს, ერთმა პანკისელმა უხუცესმა ინდივიდუალურად, თუ რომელიმე კოლექტიურმა ორგანომ თუ გააკეთა განცხადება ამასთან დაკავშირებით და დაგმო მათი საქციელი, ან მოუწოდა კეთილგონიერებისკენ? მესმის, რომ





პანკისს აკლია ყურადღება, მძიმე ეკონომიკური პირობებია, სოციალური ვაკუუმია. ნახეთ, რა ხდება საქართველოს სხვა რეგიონებში. აქ ხომ მხოლოდ ხელისუფლების ბლუჯამოყვარული სტომაქები და მათთან დაკავშირებული ბიზნესია მაძღარი! მაგრამ სად, ვის უნახავს ქისტების დისკრიმინაცია?! მეტიც, სწორედ იმას ვუწევ ანგარიშს, რომ ეთნიკურად ქართველები არ არიან, თორემ ქართველის შემთხვევაში უფრო მძიმედაც დავწერდი. რას აგორებთ აქ, ზოგი შეგნებული მოღალატე თუ „სასარგებლო იდიოტი“? ეს ახლაგაზრდა იმიტომ მოკლეს, რომ ქისტი იყო?! ადრეც მითქვამს: განა ჩვენ ქისტებზე, ვაინახებზე ახლო ნათესავი გვყავს ვინმე? ქართველი რომ ყოფილიყო, სპეცოპერაციას არ ჩაატარებდნენ?!“

სასაცილოა „ცნობადი-ნაცმაცუნები“ დღესაც რუსულ კვალს, რომ ხედავენ ყველაფერში, სინამდვილეში კი კუდებით არიან გადაბმული სწორედ რუსულ სპეცსამსახურებთან...

სულ ახლახან, ოპოზიცია მხარდამჭერ მედიასთან ერთად დასტიროდა ჩატაევს არადა, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე, კონგრესმენი მაიკლ მაკოლმის განცხადებით – ჩატაევი სირიაში უამრავჯერ იყო ჩასული და „ისლამური სახელმწიფოს“ ომის სამინისტროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რანგის ოფიცერი გახდა, რომელიც ოპერაციების ჩატარებისთვის იყო პასუხისმგებელი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩატაევი, ამ თავდასხმის განსახორციელებლად, კოორდინირებას სამ თვითმკვლელ ტერორისტთან ახდენდა.

ჩატაევი არაერთხელ დააკავეს ევროპაში, ავსტრიაში და ბოლოს უკრაინაში. თუმცა, მაშინდელი ხელისუფლების, კერძოდ მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილისა და გია ლორთქიფანიძის ჩარევის შედეგად უკრაინის ხელისუფლებამ ჩატაევი საქართველოს გადასცა.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# მოციქულები

ჩატაევი თბილისში ცხოვრობდა და საქართველოს მოქალაქეობაც მიიღო. შემდგომ კი ის სირიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ჩატაევი თურქეთში მცხოვრები ახალგაზრდების გადაბირებას ახდენდა. გაეროს ინფორმაციის თანახმად, ჩატაევი 130 ბოევიკისგან შემდგარ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა...“ნაცლიდერებისთვის“და მათი „შემსრულებლებისთვის“ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, რომ ყოველთვის ჩალის ფასი ჰქონდა არახალია. მაგალითებიც უხვადაა. 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ლაფანყურში განვითარებულ მოვლენებს 13 კაცის სიცოცხლე შეეწირა (ლოპოტის ხეობაში ჩატარებულ სამხედრო სპეცოპერაციას ათი მეომარი ემსხვერპლა, მათ შორის ორი საქართველოს მოქალაქე), აგრეთვე ორი სპეცდანიშნულების რაზმის წევრი და ერთი სამხედრო ექიმი. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, გია ლორთქიფანიძის, იმავე “ბოროტას” სახელმა (ხშირად ერევათ ვერის საძმო “ბოროტებში”) ლაფანყურის საქმეში მოგვიანებით გაიჟღერა, როდესაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ლოპოტის ხეობაში დახოცილი მეომრები ჩრდილო კავკასიიდან შემოსული “ბოევიკები” კი არა, საქართველო-დაღესტნის საზღვრისკენ მიმავალი ქისტი ახალგაზრდები იყვნენ. პანკისის ხეობაში ამბობდნენ, რომ ისინი (და არა მარტო ისინი) სწორედ გია ლორთქიფანიძემ ჩამოიყვანა, რომლებსაც შემდეგ რამდენიმე თვე კახეთში, შაქრიანის ბაზაზე ამზადებდნენ და დაღესტანში გადასასვლელად დერეფანსაც სწორედ ის დაჰპირდაო. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის გარდა, სახელდებოდა მისი ძმა, დავით ლორთქიფანიძეც, რომელიც იმ დროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო.

მალე ლაფანყურის მოვლენებს გამოეხმაურა კავკასიის იმარათი – გაავრცელა განცხადება, რომელშიც მომხდარს კარგად დაგეგმილი პროვოკაცია უწოდა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ამ საქმეს აუცილებლად გამოიძიებდნენ და ღალატის დამტკიცების შემთხვევაში გია ლორთქიფანიძესა და მის თანამოაზრეებს სასჯელი არ ასცდებოდათ (მუქარა ძალაში რჩება).“

იმას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გარკვეული თანხის საფასურად ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებს საქართველო-დაღესტნის საზღვრის უსაფრთხოდ გადაკვეთის გარანტიას აძლევდა, აღარც ექსპერტები უარყოფდნენ. 2013 წლის 15 აპრილს “ფეისბუკში” გამოჩნდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, დათა ახალაიას განცხადება, სადაც ამხილა გია ლორთქიფანიძე. “სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: გამაჩნია მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის ავანტიურა ჩემი ძმის, ბაჩო ახალაიას (ის შინაგან საქმეთა მინისტრად ახალი დანიშნული იყო.) წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა ვანო მერაბიშვილმა, გაწირა რა ჩვენი თანამებრძოლები, უკიდურესად დაგვიძაბა ურთიერთობა ჩვენს ქისტ ძმებთან, რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და ქვეყნის იმიჯი”. სწორედ ლორთქიფანიძე „მუშაობდა“ ჩეჩნებთან და ქისტებთან და ოდესაში „გადაბარგების“ შემდგომაც ამღვრევდა წყალს. გასულ წელს კიევის ცენტრში მომხდარი აფეთქების შედეგად საქართველოს მოქალაქე თემურ მახაური(იგივე ალი დუბაევი, რუსლან პაპასკირი, „მოჩვენება“, „ზონა“) დაიღუპა. 2012- წელს ის თურქეთში დააკავეს. მასთან ერთად აიყვანეს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ემისრის – ახმედ ზაკაევის პირადი წარმომადგენელი უვაის ახმადოვი, მისი ძმა იმრანი, ასევე მათი 3 თანამოაზრე მეტსახელებით „ალი”, „თურქო” და „მუსა”. მაშინ თურქული მედია იუწყებოდა, რომ საქართველოს მოქალაქეობის მქონე ქილერი, რომელიც, თურქეთის ხელისუფლების მონაცემებით, საქართველოს სპეცსამსახურებისა და რუსეთის „ფსბ-ს“-ს ორმაგი აგენტი იყო, აქტიურად თანამშრომლობდა თურქულ გამოძიებასთან და აღიარა, რომ სტამბოლში “კავკასიის იმარატის“ ორი წარმომადგენელი – ისლამ ჯანიბეკოვი და ალი ოსაევი (მუსა ატაევი) მოკლა. ამასთან, პაპასკირმა აღიარა, რომ აგენტებს 2011 წლის 16 სექტემბერს სტამბოლის ზეიტინბურნუს რაიონში სამი ჩეჩენი დევნილის – ბექჰაჯი მუსაევის, რუსტამ ალტემიროვისა და ზაურბეკ ამრიევის ლიკვიდაციის მზადებაში დაეხმარა... 2009 წელს “ზონა“ თბილისის ქუჩებში თანამოძმეებთან ერთად იარაღითა და საქართველოს შს სამინისტროს მოწმობებით გადაადგილდებოდა და სწორედ ამ ჯგუფის სინდისზეა ორი ჩეჩენი ბიზნესმენის ქვეყნიდან გაქრობაც და უამრავი სხვა მსგავსი ფაქტიც სწორედ ასეთ დაუნდობელ კრიმინალებს ხელმძღვანელობდა გია ლორთქიფანიძე და სწორედ მის თავში იხარშებოდა ადამიანების გატაცება, მკვლელობა, გამოძალვა და ათასი სიბინძურე. „ხელობა“ოდესაშიც არ დაივიწყა, მაგრამ იქ მისი „მამა-მარჩენალი“ მიჰა სამხედრო პროკურატურას და სპეცსამსახურს ვერ აკონტროლებდა და ამიტომაც მოკლე დროში „გაიშიფრა“ მისი სისხლიანი მოღვაწეობა... ნაცლიდერებმა რათქმაუნდა შესანიშნავად იციან რა კრიმინალურ ჭაობში იყვნენ ჩაფლული მათი სპეცსამსახურები, თუმცა აქტიურად ცდილობენ ხელისუფლებისკენ ხელის გაშვერით სისხლიანი გვამებით მოფენილი მათ მიერ განვლილი გზა გადარეცხონ. მკვდრები არ ლაპარაკობენ, მაგრამ ლორთქიფანიძის მიერ გადაბირებულმა პერსონებმა ინფორმაციის დატოვება მოასწრეს. ასე, რომ ნაცმაცუნების ლაყაფი-ლაყაფად რჩება. საინტერესოა, რამდენი ხანი შეენახებათ ნამუსი დასავლელი პატრონების მიერ, ალბათ მანამ, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ლორთქიფანიძის აგენტების მსგავსად ესენიც ორმაგს თამაშობენ და მობერებულ დასავლელ „პატრონებს“რუსეთის უფრო ახალგაზრდა პატრონები არჩიეს. ორმაგი აგენტები შეუპოვრად ებრძვიან „სუს“-ს და მის დისკრედიტაციას ცდილობენ, არ ითვალისწინებენ „დასავლურ“ შეფასებას (სავარაუდოდ რუსული სპეცსამსახურების დავალებით) აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ტერორიზმის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშში, დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არის წამყვანი უწყება ტერორიზმთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების კუთხით და ზოგადად არის კარგად აღჭურვილი და მომზადებული. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, მთლიანობაში, მთავრობას მნიშვნელოვნად შესწევს უნარი გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმის შემთხვევებზე. როგორც აღნიშნულია ანგარიშში, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სამინისტროს და სამსახურს აქვს პოლიტიკაზე ორიენტირებული კონტრტერორისტული როლი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გახდა წამყვანი უწყება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, მას შემდეგ რაც გამოეყო შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წელს. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველო, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS) წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის დიდი ხნის წევრი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ინტენსიურად იყო ჩართული კონტრტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებში და დარჩა ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე პარტნიორად გლობალური უსაფრთხოების საკითხებში.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს უწყებები აგრძელებდნენ მუშაობას უსაფრთხოების საკითხებზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რეგიონულ კოლეგებთან ინფორმაციის უფრო აქტიური გაცვლის მიმართულებით. საქართველომ ასევე მიაღწია პროგრესს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ შიდასახელმწიფოებრივი პროგრამის იმპლემენტაციის მიმართულებით.

და ბოლოს, ისე, ყოველი შემთხვევისათვის:

2006 წლის 11 ივლისი, ინდოეთი: მუსლიმი ტერორისტები თავს ესხმიან რკინიგზას მუმბაიში – დაღუპულთა რაოდენობა – 182 ადამიანი, დაშავებულთა რაოდენობა- 770.

2005 წლის 9 ნოემბერი, იორდანია: სამი დასავლური სასტუმროს დაბომბვა ცენტრალურ ამანში – დაღუპულთა რაოდენობა – 67, დაშავებულთა რაოდენობა - 150.

2005 წლის ოქტომბერი, რუსეთი: თავდასხმა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ ნალჩიკში -

დაღუპულთა რაოდენობა – 130

2005 წლის 1 ოქტომბერი, ინდონეზია: სამმა სუიციდმა აიფეთქა თავი ინდონეზიის დასასვენებელ კუნძულ ბალიზე. დაღუპულთა რაოდენობა – 22 ადამიანი.

2005 წლის 23 ივლისი, ეგვიპტე: ეგვიპტის დასასვენებელ კურორტზე შარმ ელ შეიხზე დაბომბვის შედეგად დაიღუპა 64 ადამიანი უცხოელი ტურისტების ჩათვლით.

2005 წლის 7 ივლისი, ბრიტანეთი: სამი მეტროს და ავტობუსის დაბომბვა, დაღუპულთა რაოდენობა – 56, დაშავებულთა რაოდენობა – 700.

2004 წლის 1 სექტემბერი, რუსეთი: 30 კაციანი ჯგუფი შეიჭრა ბესლანის სკოლაში, სადაც 1100 მძევალი აიყვანეს. დაღუპულთა რაოდენობა –300.

2004 წლის 1 მარტი, ესპანეთი: 10 ბომბი აფეთქდა მატარებელში. დამნაშავეები მაროკოელი ისლამისტები არიან. დაღუპულთა რაოდენა – 191.

2003 წლის ნოემბერი, თურქეთი: სტამბოლში მოხდა აფეთქებები. დაღუპულთა რაოდენობა- 33.

2003 წლის მაისი, მაროკო: კასაბლანკას პორტში ისლამისტების 5 შეტაკების შემდეგ დაღუპულთა რაოდენობა შეადგენდა 45-ს.

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ეს სტატისტიკა ძალიან „სეკვესტრირებულია“ და გაცილებით მეტი ტერაქტი მოხდა, გაცილებით მეტი მსხვერპლით. თუ ჩვენ გვაწუხებს მხოლოდ შედეგები და ნიანგის ცრემლებს ვღვრით დამდგარი შედეგის შემდეგ, მაშინ ასეთი კატეგორიის ადამიანები კარგი იქნება ან საერთოდ ხმას ნუ ამოიღებენ, ან აღიარონ, რომ ტერორიზმს უჭერენ მხარს.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30









# რა მნიშვნელობა აქვს ფაროსანა შეგვჭამს თუ ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატი დაგვხოცავს?!

## სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოტანილმა პრეპარატებმა შეიძლება ფაროსანას ვერაფერი დააკლოს, მაგრამ მოსახლეობის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნას...



არჩილ ჭირაქაძე

ფაროსანას შემოსევამ მოსახლეობა პანიკაში ჩააგდო. ამჟერად, ეს მწერი იზამთრებს და როგორც ამბობენ, გამოზაფხულს მოსახლეობას, მისი სახით, კვლავ, თავს რისხვა დაატყდება. იგი ერთ ჯერზე 200 კვერცხს დებს და კატასტროფული სიჩქარით მრავლდება. აზიურ ფაროსანასთან გამკლავება მრავალმა ქვეყანამ სცადა, თუმცა, ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. საქართველოში აზიურ ფაროსანასთან გასამკლავებლად სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება, რომელსაც სოფლის მეურნეობის სურსათის ეროვნული სააგენტო და პესტიციდებისა და აგროქიმიური საშუალებების სამმართველო უდგას სათავეში. პროგრამის შესასრულებლად უკვე მილიონობით ლარია გამოყოფილი. უახლოეს პერიოდში კი, ჩვენი ინფორმაციით, დაგეგმილია კიდევ, დამატებით, 25 მილიონი ლარის დახარჯვა. აქვე, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ეს გადასახადების გადამხდელების მიერ შემოტანილი ფულია. ამიტომაც, პროგრამის ეფექტურად შესრულება არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მთავრობის პრეროგატივა უნდა იყოს, არამედ მთლიანად ქართველი საზოგადოების, მათ შორის, მეცნიერთა კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებებისაც. თუმცა, როგორც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერები ჩემთან საუბრისას აცხადებენ, **სურსათის ეროვნული სააგენტო, ფაროსანასთან დაკავშირებით, მეცნიერთა მოსაზრებას სრულ იგნორირებას უკეთებს.** ქართველ მეცნიერთა დიდ ნაწილში განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტები ბოლო დრომდე სრულიად გამოთიშული იყო აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამიდან. არადა, მათივე თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეჭვგარეშეა, ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრია და მისი რეიტინგი მსოფლიოში განუზომლად მაღალია, ვიდრე ნებისმიერი სხვა სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებისა, რომელიც კი საქართველოში არსებობს. აქ, ცნობილი ქართველი მეცნიერები — ქიმიკოსები და ბიოლოგები მოღვაწეობენ. აქვე, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის რამდენიმე წლის წინ საქართველოს მთავრობამ დაახლოებით, ორი მილიონი დოლარი გამოყო აგროინჟინირინგის ფაკულტეტის თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვისათვის. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ: თამამად შეიძლება ითქვას, რომ აგროინჟინირინგის ფაკულტეტის პოტენციალი ფაროსანასთან ბრძოლის პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი კვლევების შესრულების თვალსაზრისით ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სურსათის ეროვნული სააგენტოს ყველა კვლევითი დანაყოფისა. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სულ ბოლო დრომდე, ამ კვლევებში, აღნიშნული ლაბორატორიის ჩართვა აზრადაც არ მოსვლია, რაც ბუნებრივია, გარკვეულ ეჭვებს იწვევს.

სამეცნიერო წრეებთან საუბრის შემდეგ აშკარა ხდება, რომ აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამაში საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანია, მოსახლეობა კი ამის შესახებ სათანადო ინფორმაციას არ ფლობს. საზოგადოებას დიდი ზარ-ზეიმით ამცნეს, რომ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისთვის შეძენილია საშუალება, რომელიც პრობლემას გადაჭრის, თუმცა თუ მეცნიერთა ნაწილს მოვუსმენთ რეალობა ბევრად მძიმეა. კითხვები ბევრია, პასუხები კი, თითქმის, არ ჩანს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერი **არჩილ ჭირაქაძე** აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მათ შეკითხვებს, რაც სერიოზული შეშფოთების საგანია, იგნორირებას უწევს. მთავრობა გვეუბნება, რომ ყველაფერი კარგადაა. გვინდა, „საერთო გაზეთის“ მეშვეობით მოსახლეობას ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მივაწოდოთ და მათთან ერთად პასუხების მიღებას შევეცადოთ.

საქართველოში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ერთადერთ საშუალებად საშუალო ტოქსიურობის მქონე **ბიფენთრინი** იქნა არჩეული მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ დიმეთოატი და მალათიონი უფრო მეტად ლეტალურია აზიური ფაროსანასთვის, ხოლო აცეფატი და ფასტაკი მსუბუქად ტოქსიური ნივთიერებების რიცხვს მიეკუთვნება. სოფლის მეურნეობის სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კი რატომღაც უპირატესობა ბიფენთრინს მიანიჭა, რომელიც ფაროსანას განადგურებას სხვა ზემოხსენებულ ნივთიერებებზე ბევრად მეტად არ იწვევს. აქვე, აღსანიშნავია, რომ მალათონი, რომელიც არანაკლებ შედეგებს მოგვცემდა, სხვა პრეპარატებისგან განსხვავებით, არ კლასიფიცირდება როგორც ადამიანისთვის პოტენციური კანცეროგენი, რასაც ვერ ვიტყვით შემოტანილ ბიფენთრინზე.

იგი, საკმაოდ ტოქსიურია ფუტკრისთვის, ასევე, არის პოტენციური კანცეროგენი და სხვა მსგავსი პრეპარატებისგან განსხვავებით, განსაკუთრებით საშიშია თევზებისა და წყლის სხვა ორგანიზმებისთვის. მისი გამოყენება წყალსატევებთან დაუშვებელია, რის შესახებაც მოსახლეობას ინფორმაცია არ აქვს. უფრო მეტიც, მძღოლები რომელთაც ეს ნივთიერება დაურიგდათ პირდაპირ გზის პირიდან ასხურებენ მას მნიშნელოვანი ფართობის ტერიტორიებზე. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიფენთრინი შეტანილია გარემოსთვის განსაკუთრებით მავნე ნივთიერებათა სიაში, ე.წ. list of lists- ში.




საქართველოში ჩატარებული ტენდერის შედეგად მთავრობამ ყველასათვის უცნობი თურქული წარმოშობის პრეპარატი **„ზონდერი“** შეიძინა, რომლის ინსტრუქციაც (თავფურცელის და სხვა თანმდევი ინფორმაციის შემცველი კიდევ ორი გვერდის გარდა) მხოლოდ ორი გვერდია და მასში საკმაოდ მწირი ინფორმაციაა მოწოდებული. მაშინ როცა სხვა ქვეყნების წარმოების ცნობილი პრეპარატების ინსტრუქცია 14- დან 28–30 გვერდამდეა. გაუგებარია, რატომ არ შეიძინეს აშშ-ს, კანადის ან ევროკავშირის რომელიმე კარგად ცნობილი მწარმოებლის პროდუქცია? აქვე, საინტერესოა, შემოწმდა თუ არა თურქული წარმოების პრეპარატის ტოქსიურობა და აზიური ფაროსანას მიმართ მისი ლეტალობა. როგორც ვიცით, თურქეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ არის. ამიტომ, ლოგიკური იქნებოდა მისი პროდუქცია საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდებით მანამდე შემოწმებულიყო, ვიდრე მისი შეძენა-გამოყენებისთვის მილიონობით ლარი დაიხარჯებოდა! მეცნიერ არჩილ ჭირაქაძის თქმით: ყოველივე ამის მიზეზია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული სატენდერო პირობები, რომელთა მიხედვითაც პრეპარატი აუცილებლად უნდა იყოს დარეგისტრირებული საქართველოში და შეიცავდეს ბიფენთრინს, რაც ამერიკული და ევროპული მაღალხარისხიანი ბიფენთრინის შემცველი პროდუქციის შემოტანას გამორიცხავს. აღნიშნული სატენდერო პირობები, ასევე, გამორიცხავს მსოფლიო რეპუტაციის მქონე კომპანიების — BASF და bayer -ის მიერ წარმოებულ ნაკლებად ტოქსიურ, მოქმედების ფართო სპექტრის მქონე პრეპარატების (FASTAC) შეძენას. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საბუთებით, მისი შემოწმების გარეშე, პესტიციდების გამოყენება ძლიერ სახიფათოა. აქ, კი ყველაფერი პირიქით მოხდა. ეს რომ იყოს ბელგიური, ავსტრიული ან ამერიკული წარმოების, ამის დაშვება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ სრულიად უცნობი პრეპარატი „ზონდერი“ ამის საშუალებას არ იძლევა. თურქული მწარმოებლის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით — რა რეპუტაციის საწარმოა, როგორია მისი გამოყენების შეზღუდვები და ა.შ. ბატონი არჩილისთვის კითხვის ნიშნად რჩება კიდევ ერთი დეტალი — შემოწმდა თუ არა ბიფენთრინის რომელი ენანთიომერი არის წარმოდგენილი „ზონდერში“ — 1S თუ 1R-cis. ცნობილია, რომ პირველი დაახლოებით, 4-ჯერ უფრო ტოქსიურია ადამიანისთვის, ვიდრე მეორე, ხოლო მეორე 300-ჯერ უფრო ძლიერი ინსექტიციდია.




არანაკლებ საინტერესოა ინფორმაცია პრეპარატ **„ზონდერის“** ფასთან დაკავშირებით, კერძოდ, რა ფასად იქნა შეძენილი თურქული წარმოების პრეპარატი და რომელი ორგანიზაციები მონაწილეობდნენ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში. რა საჭირო იყო ასე სწრაფად ტენდერის დასრულება და რა დაშავდებოდა თუ ტენდერი ერთი კვირის განმავლობაში გაიმართებოდა. არჩილ ჭირაქაძე საეჭვოდ მიიჩნევს შემდეგ გარემოებასაც: უცნობი კომპანიის ათიათასობით ლიტრი ნაკლებად ცნობილი პრეპარატი „ზონდერი“ იყიდება დაახლოებით, იგივე ფასად (ერთ ლიტრზე გადაანგარიშებით), როგორიც არის საყოველთაოდ ცნობილი **„ტალსტარის“** შემქმნელი და მაღალი რეპუტაციის მქონე მწარმოებელი კომპანიის (FMC Corporation) პროდუქციის საცალო ფასი.

აზიური ფაროსანა ჩვენთან აფხაზეთიდან გავრცელდა. ისმის კითხვა: როგორ განხორციელდა თუ საერთოდ განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გალის რაიონის ტერიტორიაზე შესაბამისი მუშახელის მომზადება თხილის პლანტაციების „ზონდერით“ დასამუშავებლად? არსებობს თუ არა შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაცია და სწავლება-ინსტრუქტაჟის ჩატარების

6 გვ. →

**ნარკოპოლიტიკის გარშემო გაჩაღებული ვნებათაღელვის ფონზე, 8 იანვარს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო ჯავახაძემ ბრიფინგი გამართა. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ნარკოპოლიტიკა კომპლექსურ მიდგომას და დროულ მოწესრიგებას საჭიროებს, რადგან მდგომარეობა მძიმეა და პრობლემის მოგვარების დროში გახანგრძლივება რეალობას კიდევ უფრო გაამწვავებს.**

**ნარკოპოლიტიკის თემაზე მომუშავე სპეციალისტების ნაწილს მიაჩნია, რომ პრობლემის მოგვარება მხოლოდ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციით არის შესაძლებელი. „საერთო გაზეთს“ ფსიქორეაბილიტაციის ცენტრის ფსიქოლოგი მარინა ჭავჭანიძე ესაუბრა:**



# მარინა ჭავჭანიძე:
# ნარკოპოლიტიკის დეკრიმინალიზაცია ნარკომაფიასთან ბრძოლას ნიშნავს

— დავიწყებ იმით, რომ საქართველოში ადამიანთა უმეტესობა ერთმანეთისგან ვერ არჩევს დეკრიმინალიზაციას, ლიბერალიზაციას და დეპენალიზაციას, ამიტომ განვმარტავ, დეპენალიზაცია ნიშნავს, რომ ნარკოტიკის მოხმარებისთვის ციხეში არ ჩაგსვამენ, მაგრამ შეიძლება სისხლის სამართლის კოდექსით რაღაც ჯარიმა ან სასჯელი დაგაკისრონ. დეკრიმინალიზაციის დროს, სისხლის სამართალთან საქმე არ გვაქვს, მაგრამ, შეიძლება ადმინისტრაციული ჯარიმა ან სხვა დამსჯელი ღონისძიებები განხორციელდეს. ლეგალიზაცია ნიშნავს, რომ ნარკოტიკები სუპერმარკეტებში გაიყიდება, როგორც სიგარეტი ან ალკოჰოლი.

**— საზოგადოების ნაწილი დარწმუნებულია, რომ დეკრიმინალიზაცია ნარკომომხმარებელთა რიცხვის გაზრდას გამოიწვევს. რა გარანტია გვაქვს, რომ ასე არ მოხდება?**

— გარანტიებს მარტო ღმერთი იძლევა, მაგრამ იმ ქვეყნების გამოცდილებამ, სადაც ლიბერალური ნარკოპოლიტიკა დაინერგა, გვაჩვენებს, რომ ხანგრძლივი პერსპექტივისას და ჭკვიანურად დაგეგმილი ღონისძიებებისას, ჩვენ ნარკოტიკების მოხმარების შემცირებას ვიღებთ. გაერომ 1998-დან 2008 წლამდე, 10 წლიანი პროექტი განახორციელა — პროექტის მიზანი იყო ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მკვეთრი შეცირება, მაგრამ შედეგი საწინააღმდეგო მივიღეთ. ამდენად გამოიტანეს დასკვნა, რომ ნარკოტიკების მომხმარების შემცირება დასჯისა და აკრძალვის მეთოდით შეუძლებელია. აღარაფერს ვიტყვი მომხმარებლის ციხეში ჩასმაზე, რაც საერთოდ მარაზმია. ბოლოს და ბოლოს, ნარკოტიკების მომხმარებელი ან ავადმყოფად უნდა ვაღიაროთ ან კრიმინალად.

**— თუ ავადმყოფებად უნდა ვაღიაროთ, მაშინ ნარკოტიკის გაყიდვა კრიმინალი რატომაა? ავადმყოფს წამალი ლეგალური გზებით უნდა მივაწოდოთ, ასე არ არის?**

— მეთადონის პროგრამები და ჩანაცვლებითი თერაპია იმისთვის არსებობს, რომ ნარკომანს წამალი ლეგალურად მივაწოდოთ. წამალს ვაწვდით, როცა ექიმთან მიდიან, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არ მიდიან საზოგადოებაში არსებული სტიგმის გამო. მოგეხსენებათ, ზოგიერთი დამქირავებლისთვის მეთადონის პროგრამაში ჩართულობა შეიძლება ადამიანის სამსახურიდან გაშვების მიზეზი გახდეს. ზუსტად იმიტომ, რომ ნარკომომხმარებელზე ასეთი ძლიერი სტიგმა არსებობს, ადამიანები ამ დამოკიდებულებას მალავენ. თუ 55 000 ნარკომომხმარებელი გვყავს და აქედან 5000-მდე მეტადონის ჩანაცვლებაშია, დანარჩენები სად არიან? ეს ხალხი დაფარულია მკურნალობისა და სერვისებისთვის, იმიტომ, რომ არ გენდობა. დეკრიმინალიზაციის იდეაც ისაა, რომ მაქსიმალურად გამოავლინოს ხალხი, რომელიც თავს იკავებს დახმარების თხოვნისგან. მეორეს მხრივ არალეგალური სიტუაციით სარგებლობს ნარკომაფია — ერთის მხრივ დაინტერესებულია ამ ნივთიერებების გაყიდვით და მეორეს მხრივ მომხმარებლების მოზიდვით. ასე რომ დეკრიმინალიზაცია ნარკომაფიასთან ბრძოლაა.

**— ჩანაცვლების პროგრამები მარიხუანისთვისაც არსებობს?**

— ჩანაცვლების თერაპია მხოლოდ ოპიოიდებს ეხება. რაც შეეხება ჰალუცინოგენებს, რომლებსაც მარიხუანაც მიეკუთვნება, მათ ჩანაცვლება არ ჭირდებათ, იმიტომ, რომ აბსტინენცია ანუ „ლომკა“ ნაკლებ გამოხატული აქვთ. გასაგებია, რომ მარიხუანას მწეველები სოციალურად საშიშები არ არიან, კარგ გუნებაზე არიან და დედას არ იგინებიან, მაგრამ პირველ ორ მოწევას ძალიან დიდი რისკები ახლავს. საზოგადოების რაღაც ნაწილი მოითხოვს „ვითომ დეკრიმინალიზაციას“ და რეალურად, ლეგალიზაციას და უნდათ, რომ სადაც უნდათ, იქ იყიდონ და გაყიდონ, რაც არასწორია, რადგან ამით ძალიან ბევრ ფსიქოზს მივიღებთ. მეორე მხრივ, შეიძლება ამან ცოტათი მაინც დაგვიცვას დიზაინერული ნარკოტიკების, ე.წ. ბიოების შემოტევისგან, რომლებსაც სადღაც ჩინეთში, კუსტარულად ამზადებენ. ბიოსგან გამოწვეული ფსიქოზები ბევრად უფრო მეტია და შესაძლოა, ლეტალური შედეგიც ჰქონდეს. მაშასადამე, უფრო სახიფათოა. ახლა, მითხარით, თუ ავკრძალავთ, აღარ შემოვა? რა თქმა უნდა, შემოვა. მეტსაც გეტყვით, აქვე, საქართველოში, გაჩნდება ლაბორატორიები, რომლებიც ამ ბიოებს დაამზადებენ. ჩვენ უნდა ვცადოთ, რომ ორ ცუდს შორის ნაკლებ ცუდი ავირჩიოთ. რასაკვირველია, მარიხუანის მოწევაზე ადამიანი ციხეში არ უნდა წავიდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარიხუანას სახალხოდ მოწევისთვის ტაში დავუკრათ და „ოსანა“ ვუმღეროთ. იმის ნაცვლად, რომ მარიხუანას დადებითი და უარყოფითი მხარეები განიხილოს, საზოგადოებისა და მედიის ის ნაწილი, რომელიც ამას მხარს უჭერს, ფაქტობრივად, „ოსანას“ უმღერის. საზოგადოების მეორე ნაწილი კი ნარკომანების „ჩაქოლვას“ ითხოვს. და ბავშვი რომ „გასინჯავს“, უკვე ჩამოყალიბებული ნარკომანი ჰგონია. სინამდვილეში, ვერც ერთი და ვერც მეორე ნაწილი ვერ აცნობიერებს მარიხუანისგან მომდინარე საფრთხეებს. მე მინახავს მარიხუანის ისეთი ფსიქოზები, რომ დღემდე, როგორც შიზოფრენიას, ისე მკურნალობენ. როგორ შეიძლება, რომ ადამიანი ასეთი რისკის შესახებ არ გააფრთხილო? მით უფრო, რომ მარიხუანა ლამის ასფალტზეც კი იზრდება, მაგრამ ზოგადად, სხვადასხვა ნიადაგზე სხვადასხვანაირი მოდის.

**— პირიქითაც ხომ ხდება მარიხუანადან მძიმე ნარკოტიკზე გადასვლა?**

— როგორ არ ხდება.. ეს არის ე.წ. ექსპერიმენტული მოხმარება, ანუ ადამიანს აინტერესებს და სინჯავს. თუ მოეწონა, აგრძელებს და რაღაც მომენტში, როცა აღარ აკმაყოფილებს, გადადის უფრო რთულზე. ეს პროცენტი საქართველოში ნამდვილად არავის შეუსწავლია, მაგრამ ის, რომ მსუბუქიდან მძიმე ნარკოტიკზე გადადის, ადამიანის პიროვნულ და ფსიქოლოგიურ პრობლემებზე მეტყველებს — იმიტომ, რომ არ ვასწავლეთ როგორ უნდა გადალახოს თავისი პრობლემები. მარიხუანისგან განსხვავებით, მძიმე ნარკოტიკების მომხმარებლებს სერიოზული სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება ჭირდება. ეს ყველაფერი ფული ღირს, ამიტომ ვიღაცას ფულის ხარჯვას ამის შემოტანა, გასაღება და ფულის შოვნა ურჩევნია. არგენტინაში საერთოდ, ლეგალიზაცია დაუშვეს და ყველა ადამიანს შეუძლია პირადი მოხმარებისთვის, 5 ძირი მარიხუანა მოიყვანოს. თუ მეტის მოყვანა უნდა, სახელმწიფო აღრიცხვაზე აიყვანს და ზედმეტ რაოდენობას თვითონ გაყიდის. იცით, ეს რატომ გააკეთეს? — ეს იცავს სახელმწიფოს საზღვარზე ყველანაირი მარიხუანას ძირზე დამზადებული ნარკოტიკის შემოტანისგან და არსებული ნარკოტიკის ხარისხიც გაკონტროლდება.




**— ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთებას, იქნებ, ჯობდეს, რომ შესაბამისმა სტრუქტურებმა საზღვრები უფრო ეფექტურად აკონტროლონ? თქვენი აზრით, ვის ინტერესებში შედის ნარკოტიკების ქვეყანაში შემოდინება?**

— როცა სახელმწიფოს აქვს იმის უფლება და უნარი, რომ საზღვრები აკონტროლოს და ნარკოტიკების შემოტანა აღკვეთოს და მაინც შემოდის, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოში ნარკომაფია არსებობს. წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის ამაში ჩართული, მაგრამ მაფია ხელისუფლებაში მყოფი მფარველის გარეშე არ არსებობს. დეკრიმინალიზაციის ჩატარებით, მაფიას ხელიდან გამოვაცლით უზარმაზარ შემოსავალს და ძალიან დიდ ეკონომიკურ ზარალს მივაყენებთ, მაგრამ ამაზე არც ერთი მაფიოზური სტრუქტურა არ დათანხმდება. ჯერ კიდევ 60-იან წლებში, ამერიკის სენატში განიხილავდნენ, — მოდი, მივცეთ ნარკომომხმარებლებს საშუალება, რომ ნარკოტიკები იყიდონო. ადგა ერთი სენატორი და თქვა, ამის უფლებას მაფია არ მოგვცემსო და მორჩა! ზუსტად ასეა ჩვენთან. რა ბრტყელ-ბრტყელი და ჭკვიანური სიტყვებიც არ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ მომავალ თაობებს და ერს ვიცავთ, ფაქტია, რომ ნარკოტიკებთან და მაფიასთან ომი წაგებულია!

ერთადერთი, რაც ახლა შეგვიძლია გავაკეთოთ, დეკრიმინალიზაციაა. ავკრძალოთ ნარკოტიკის მოხმარება საბავშვო ბაღების თუ სკოლების ახლოს და ამაზე ჯარიმა დავაწესოთ. ვიფიქროთ იმაზე, როგორი პრევენციული ღონისძიებები ჩავატაროთ სკოლებში, რადგან უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, საგანმანათლებლო სისტემა ნარკოტიკების თემის განსახილვისთვის დახურულია. ბავშვი სრულიად მოუმზადებელი შედის ცხოვრებაში და არ იცის, რისგან და როგორ უნდა დაიცვას თავი.

ბავშვი ნარკოტიკებისკენ მიდის, როდესაც სხვა ინტერესები არ აქვს. როდესაც მშობლები და მასწავლებლები არ აწვდიან საკმარის ინფორმაციას, მას უყალიბდება არაცნობიერი დეპრესიული განცდა, რომელსაც ნებისმიერი ნარკოტიკი ხსნის. თუ ხედავთ, საგანმანათლებლო პროგრამებიც კი გაქრა ჩვენი ტელევიზიებიდან და სკოლაში

6 გვ. →



# რა მნიშვნელობა აქვს ფაროსანა შეგვჭამს თუ ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატი დაგვხოცავს?!

4 გვ.

დამადასტურებელი საბუთები? არანაკლებ საინტერესოა, ვინ გააკონტროლებს თუ რამდენად სწორად გამოიყენებს მოსახლეობა პრეპარატ „ზონდერს“, რამდენად იქნება ეს შესაბამისობაში ინსტრუქციის მოთხოვნებთან? ვინ იქნება პასუხისმგებელი პრეპარატის არასწორი გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე? წესით, პასუხისმგებლობა სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობამ უნდა იკისროს. აქვე, ვიტყვით, რომ მოსახლეობამ პრეპარატის გამოყენების შესახებ ბევრი არაფერი იცის. მაგალითად ის, რომ „ზონდერის“ გამოყენება შეიძლება მხოლოდ არამსხმოიარე მცენარეებზე. მოსახლეობამ, რომელმაც ხეები შეწამლა, არ იცის, რომ ამ ნაყოფის გამოყენება დაუშვებელია. ასევე, არც იმის შესახებ აქვს ინფორმაცია, რომ სასწრაფოდ უნდა გამოიცვალო ტანსაცმელი, რომელზეც „ზონდერი“ შეგეშხეფება. მაგალითად, აშშ-ში, ნიუ-იორკის და კონექტიკუტის შტატებში და ნიუ-იორკის სამხრეთ ადმინისტრაციულ ოლქში მხოლოდ საგანგებო ნებართვით და მხოლოდ შეზღუდული ვადით (6 თვით) 2017 წელს დაშვებული იყო ბიფენთრინის შემცველი მხოლოდ და მხოლოდ სამი პრეპარატის გამოყენება, და თანაც მხოლოდ სამ კულტურაზე (ატამი, ვაშლი, ვაშლატამა). აქ კი ყველასთვის უცნობ „ზონდერს“ ყველაფერს ვასხურებთ. აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ში თუ მოსახლეობა დატრენინგებული არ არის და ირღვევა გამოყენების ინსტრუქციის მოთხოვნები, ეს კანონის დარღვევად, ფედერალურ დანაშაულად ითვლება.



როგორც წეღან მოგახსენეთ, ბიფენთრინის პრეპარატების გამოყენების ინსტრუქციის დარღვევა აშშ-ში ფედერალურ დანაშაულად ითვლება. საინტერესოა, როგორ აფასებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმ გადაწყვეტილებას, რომ ბიფენთრინი მოსახლეობას დაურიგდა. რამდენად დამაჯერებელია, რომ ასეთ მოკლე ვადებში სამი ათასი კვალიფიცირებული მუშაკი და ინსტრუქტორი მომზადდა? აქვე, არსებობს თუ არა იმ ორასოცდაათი ათასი მოსახლის ინსტრუქტირების მოწმობა, რომელთაც დაურიგდა ეს პრეპარატები. არჩილ ჭირაქაძის თქმით: ბიფენთრინით ეზოებისა და სახლების დამუშავება, რაშიც მოსახლეობა ფულს იხდის, ბოლო დრომდე გრძელდებოდა. მაგალითად, ასეთი რამ დაახლოებით ერთი თვის წინ დაფიქსირდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმრალაურში.

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ბიფენთრინის ავიაციის საშუალებით გაფრქვევის შესახებ. არადა, ამ დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ გამოყენების ერთ-ერთი მთავარი და მკაცრი შეზღუდვა პრეპარატის ატმოსფეროში გაფრქვევის პირდაპირი აკრძალვაა. სწორედ ამიტომ მიიჩნევს ბატონი არჩილი საეჭვოდ რომ ეს გადაწყვეტილება რეკომენდებული იყო კომპეტენტური უცხოელი ექსპერტების მიერ. არჩილ ჭირაქაძე: ცხადია, ამ ხერხით გაფრქვევის დროს მკვეთრად ეცემა პრეპარატის ეფექტურობა და მრავალჯერ იზრდება გარემოს დაბინძურება. აქვე, საინტერესოა თუ გატარდა რაიმე ღონისძიება, რათა გამორიცხულიყო ბიფენთრინის მოხვედრა ზედაპირულ წყალსატევებში, ჭებში და არხებში. მოგეხსენებათ, რომ წყალსატევების დაცვა ყველა ინსტრუქციის მკაცრი მოთხოვნაა.

მკითხველის ყურადღება ერთ მნიშვნელოვან დეტალზეც გვინდა გავამახვილოთ: სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავა გეგმა საქართველოში იაპონური კრაზანას შემოყვანის თაობაზე. ცნობილია, რომ ამგვარი მოქმედებისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა მსგავსი პრობლემის წინაშე მდგომმა ყველა სხვა ქვეყანამ. მეცნიერთა აზრით, ეს საკითხი მეცნიერთა კორპუსის და საზოგადოების ფართო ჩართულობის გარეშე არ უნდა გადაწყდეს.



მეცნიერთა წრე აღშფოთებას გამოთქვამს იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს პრეტენზია აქვს მონოპოლიურად გადაწყვიტოს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ტოქსიკური პრეპარატების გამოყენების და სხვადასხვა აგრესიული არაენდემური ბიოლოგიური სახეობების შემოყვანის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემები. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა მთლიანად ენდობა ამ ერთი უწყების აზრს და უფლებას აძლევს მას „ერთპიროვნულად“ გადაწყვიტოს, პრაქტიკულად, ყველა საკითხი.

ქართველ მეცნიერთა კორპუსის უმეტესი ნაწილი და მისი მართვა მთლიანად სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს **ზურაბ ლიპარტიას** აქვს მინდობილი, რომელიც მეცნიერთა აზრით, საქმეს არაეფექტურად და არაგამჭირვალედ უძღვება. საქართველოში ბოლო დრომდე ხელ-ფეხი ქონდა შეკრული ყველას, ვისაც კი შეუძლია ფაროსანასთან ბრძოლის ქმედითი მეთოდები შეიმუშაოს, ამის შედეგად, გამორიცხული არ არის უსარგებლოდ დაიხარჯოს ათობით მილიონი ლარი, ხოლო სოფლის მეურნეობას და ცოცხალ ბუნებას შეუქცევადი ზიანი მიადგეს.

ტენდერის შედეგად შეძენილი იქნა 160 ათასი ტონა ბიფენთრინის შემცველი პრეპარატი, რომლის პირობები სოფლის მეურნეობის სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის ზურაბ ლიპარტიას და პესტიციდებისა და აგროქიმიური საშუალებების სამმართველოს უფროსის მარინა ღვინეფაძის მიერ არის მომზადებული. არჩილ ჭირაქაძის აზრით: ეს მორგებულია ქართული კომპანიების შესაძლებლობებზე და სრულიად გამორიცხავს მაღალეფექტური და ნაკლებად ტოქსიკური პრეპარატების შეძენას და გამოყენებას. ყოველივე ეს აძლიერებს საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებში არსებულ ეჭვს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები დაკავშირებულია სამინისტროს ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის არაკომპეტენტურობასთან ან კორუფციულ ინტერესებთან.

**ჩვენი ინფორმაციით, ამჯერად, აპირებენ ინდური პრეპარატის „ინსაკარის“ შემოტანას, რომლის მწარმოებელია ფირმა „ფარიჯატი“ და რომლის შესახებაც ინტერნეტში არანაირი კონკრეტული ინფორმაცია არ დევს.** პასუხები ამ და სხვა კითხვებზე, რომელიც სტატიაში უხვად დავსვით, წესით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს უნდა გაეცა არა კონკრეტულად ჩვენთვის, არამედ მოსახლეობისთვის. თუმცა, პრესსამსახურთან დაკავშირების მიუხედავად მათ ჩვენს კითხვებზე საპასუხოდ ვერ მოიცალეს.

იმედია, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, სურსათის ეროვნული სააგენტო გამოგვეხმაურება და პასუხს გასცემს წერილში დასმულ კითხვებს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ნარკოპოლიტიკის დეკრიმინალიზაცია ნარკომაფიასთან ბრძოლას ნიშნავს

5 გვ.

პროგრამები ისე შეამცირეს, რომ 4 წლიწადში სრულიად საკმარისია იმ მოცულობის სწავლება. ადამიანის ტვინი ამას ვერ უძლებს ახალი ინფორმაციის ნაკლებობას (არ მითხრათ, რომ ჩვენი მედია, ნიუსები, ან მობილურები ამ ინფორმაციულ ვაკუუმს ავსებენ) და სიამოვნების ძებნას იწყებს. სად იპოვის ამ სიამოვნებას სექსში, ალკოჰოლში, ნარკოტიკებში თუ მუსიკაში არ ვიცი, მაგრამ როცა ადამიანს მომავლის რწმენა არა აქვს და არ იცის რისთვის არსებობს, სასოწარკვეთულებამდე ერთი ნაბიჯია.. ახლა ძალიან მოდაშია და მთელ მსოფლიოში მოდებულია ანტიდეპრესანტები, თითქოს ეს დეპრესიას მოხსნის, არადა, ანტიდეპრესანტების უმეტესობა ასევე დამოკიდებულებას იწვევს. არა მარტო ბავშვები.. ასეთ მძიმე ვითარებაში მარტო დეკრიმინალიზაცია არაფერს მოგვცემს, თუ რეაბილიტაციური და პრევენციული ღონისძიებები არ დავნერგეთ და სამართლიანი კანონმდებლობა არ შევიმუშავეთ. როგორ, ვიღაცას რომ მეგობართან ორი „მასტირკა“ პლანი მიაქვს, ისიც გადამყიდველად ითვლება და 70 000 აბი სუბუტექსი რომ შემოაქვს ისიც?! და როგორც წესი, ეს უკანასკნელი უფრო მალე გამოდის ციხიდან საერთოდ. კანონი, რომელიც სამართლიანი არაა, არასდროს არ მუშაობს. რასაკვირველია, გადამყიდველების მიმართ კანონი უნდა გამკაცრდეს, მაგრამ უნდა გავარჩიოთ, ვინ ყიდის, რას და რამდენს. ეს დოზები არის გასასწორებელი. იმ პირობებში, როდესაც ადამიანის ტვინი უინტერესო და ინფორმაციულად დაცლილ ცხოვრებაში სიამოვნებას ეძებს, არ შეუძლია გადალახოს ლტოლვა და იძულებულია, ნებისმიერი გზით მოიპოვოს ის, რაც უნდა. ამ კომპულსიებს ბრძანებით და აკრძალვით ვერ გადავლახავთ. ამისთვის არსებობს ფსიქოთერაპია და ფსიქიატრია, რომელიც ლტოლვას ამცირებს. ლტოლვის შემცირება რომ ჩვენი ან რომელიმე პოლიტიკოსის ნებით იყოს შესაძლებელი, მსოფლიოში ნარკოტიკები არ იარსებებდა. ასე, რომ უნდა ჩავატაროთ დეკრიმინალიზაცია ნაბიჯ-ნაბიჯ და კიდევ უფრო შევამსუბუქოთ ის სასჯელები, რომლებიც არსებობს. დეკრიმინალიზაციის პაკეტში, რომელიც პორტუგალიაში 2001 წელს განხორციელდა, ყველაფერი ერთდროულად ჩატარდა და იქაც იყვნენ მოწინააღმდეგეები, მაგრამ ფაქტია, რომ პორტუგალიაში ჩატარებულმა ნარკოპოლიტიკის რეფორმამა გაამართლა. თუ კიდევ გადავდებთ 3–4 წლით ამ რეფორმებს, მერე შემდეგი მთავრობა და შემდეგი „ურა“ საზოგადოება გვეყოლება თავიდან „გასაზრდელი“. დღეს ისევ ისეთი სიტუაციაა საზოგადოებაში, რომ “ ნულოვანი ტოლერანტობის“ ხანა მახსენდება.

მცოდნე ხალხს არავინ უსმენს, რადგან ყველა „ მეზობელმა“ უკეთ იცის, რა უნდა ქნას მთავრობამ და თავი ექსპერტი ჰგონია.

დეკრიმინალიზაცია ნარკომაფიასთან ბრძოლის იარაღია, ხოლო ყველა, ვინც დეკრიმინალიზაციის წინააჭმდეგია, ნებსით თუ უნებურად ნარკომაფიის წისქვილზე ასხამს წყალს.

**რამდენიმე დღის წინ, ნარკოპოლიტიკის გარშემო მიმდინარე პროცესებში საქართველოს საპატრიარქო ჩაერთო. 12 იანვარს მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა დიდი განხილვა, რომელზეც საპატიარქოს წარმომადგენლებმა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის შესახებ მომზადებული კანონპროექტის განხილვის შეჩერება ითხოვეს. საპატრიარქოს აზრით, მსგავსი რეფორმა ნარკ დამოკიდებულების მიმართ სასჯელის შემსუბუქებასა და ნარკოტიკების გამავრცელებლის მიმართ სასჯელის გამკაცრებას უნდა ითვალისწინებდეს, თუმცა საპარლამენტო განხილვები არ უნდა დაიწყოს, სანამ უმთავრეს საკითხებზე შეთანხმება არ მოხდება.**

**კანონპროექტის განხილვის შეჩერებას ითხოვს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი გელა ლეჟავაც. მისი თქმით, დეკრიმინალიზაციას თავისი წესები აქვს- ჯერ უნდა მოგვარდეს სამედიცინო და სოციალური საკითხები და დეკრიმინალიზაციაზე მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი. მოხდება თუ არა ნარკოპოლიტიკის თემაზე დიდი ეროვნული თანმობის მიღწევა, დრო გვაჩვენებს.**

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# პენისი კალმის ნაცვლად, თანამედროვე პროლეტკულტელები და „წმინდანთა“ დისციპლინა...

**ვახტანგ ხარჩილავა:**

ეს დრო რაღაცით ჰგავს გასული საუკუნის 20-იან წლებს, როცა ქართულ მწერლობას ათასი ჯურის ლიტერატურული მიმდინარეობები მოეძალა, პოეტის სახელი კი დებოშიორ, მოხულიგნო, ნიადაგ მთვრალი და გაბრუებული ადამიანის სინონიმად იქცა, რომელიც მთლად ვერ იყო საღ ჭკუაზე, ანუ ცოტას აფრენდა.

სამწუხაროდ, ეს გაუკუღმართებული წარმოდგენა პოეტზე დღემდე ბოგინობს ჩვენს საზოგადოებაში, რასაც ხშირად თავად პოეტებიც უწყობენ ხელს.

არადა, ქართულ სინამდვილეში პოეტები იყვნენ მეფეები, მხედართმთავრები, სახელმწიფო მოღვაწეები.

კიდევ ერთი ნიშნით ჰგავს ეს დრო გასული საუკუნის არა 20-იან, არამედ 30-იან წლებს.

ასე მაგალითად, ერთ-ერთი პოეტი, რომელიც ლიტერატურული წარმოშობით ზუსტად გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან არის, თუმცა მან ამის შესახებ შეიძლება



არც იცის, ამბობს: „ჩვენ, მწერლები და პოეტები, ხანდახან ვთვრებით და ხანდახან ვიგინებით კიდეც (მაგალითად, ასე: მოძალადე პოლიციელებო, თქვენი ოჯახები მოვტყან!) და აწი, უფრო ხშირად დავთვრებით და უფრო ხშირად შევაგინებთ მოძალადე „გაიშნიკებს“.

ამის მთქმელს და მის ამფსონებს რომ ჰკითხო, ისინი დემოკრატიული, ევროპული ყაიდის საქართველოსთვის იბრძვიან და იღვწიან, ოღონდ იმას არ შიფრავენ, რატომ უნდა გაკეთდეს ეს კეთილშობილური საქმე მაინცდამაინც სიმთვრალეში და მაინცდამაინც გინებით?

გინებაც ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა და როცა ძალადობის ძალადობით აღმოფხვრას ცდილობ, შენც მოძალადე ხარ და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, პოეტი ხარ, ხარატი თუ ქვისმთლელი, ხოლო, როცა ვიღაცას (ოჯახს შეუგინებ, შეიძლება იმ ვიღაცამ თავ-ყბა გაგიერთიანოს და ეს არ უნდა გაგიკვირდეს, რად-



გან თავად ხარ შენზე განხორციელებული ძალადობის გამომწვევი პროვოკატორი.

●

XX საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მწერლობაში პარტიული გაწვევა გამოეცხადებინა.

პარტიული დავალებით კომუნისტები და კომკავშირლები – ფეიქრები, ზეინკლები, ხარატები, კოლმეურნეები, პარტიული აქტივისტები პირდაპირ ინიშნებოდნენ პოეტებად, მწერლებად, ჟურნალისტებად, კრიტიკოსებად.

ასე ჩამოყალიბდა პროლეტკულტელთა კასტა, რომელმაც კლასობრივი ბრძოლა გამოუცხადა ნამდვილ მწერლებს, ნამდვილ ხელოვანებს და რეპრესიების პერიოდში ლომის წილი შეიტანა მათ ფიზიკურ განადგურებაში.

ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ლიტერატურულ არენაზე მწერლებისა და პოეტების სახელით გააქტიურებულ ადამიანთა ერთ ჯგუფს რომ ვუყურებ, ასე მგონია, პროლეტკულტელებივით ესენიც ვიღაცამ დანიშნა მწერლებად და პოეტებად, მისცა ფართო ასპარეზი, გზა გაუხსნა დასავლეთისკენ, დაუთმო ტრიბუნა, დაუფინანსა წიგნები, ჩამოურიგა პრემიები, სანაცვლოდ კი ზუსტად ის დაავალა, რასაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ავალებდნენ პარტიული ბოსები რევკომის სხდომებზე მწერლებად და პოეტებად „ნაკურთხ“ ადამიანებს.



მორალური და ზნეობრივი კანონების იგნორირება, ტრადიციების მსხვრევა, მწერლობისა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგებში საზოგადოების მიერ აღიარებული და დაფასებული ადამიანების და მათი შემოქმედების აბუჩად აგდება და გაბიაბრუება, სექსუალური აღვირახსნილობის პროპაგანდა, თაობათა დაპირისპირების მცდელობა, პატრიოტიზმის და სამშობლოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების ჩამორჩენილობად და პროვინციალიზმად შერაცხვა, კოსმოპოლიტური იდეების წინ წამოწევა და ფართოდ რეკლამირება, ულმერთობის, ურწმუნობის ქადაგება და ადამიანის სრული გათავისუფლების მცდელობა ყოველგვარი მოვალეობებისგან – აი, იმ „ღირებულებათა“ არასრული ჩამონათვალი, რომლებიც გასული საუკუნის 30-იანი წლების პროლეტკულტელების და თანამედროვე პროლეტკულტელებისთვის საერთოა.

●

XX საუკუნის 30-იან წლებში ქართველმა პროლეტკულტელებმა მთავარი დარტყმა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ განახორციელეს.

ილიას შემოქმედებას, მის პიროვნებას, მის მოსაზრებებს კარგა ხნის განმავლობაში უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ სტალინმა მაგიდას არ დაჰკრა მუშტი და დაუკრეფავში გადასულ ილიას კრიტიკოსებს არ დაუცაცხანა: – ილიას რომ ლანძღავთ, მასზე დი-



დი პიროვნება ქართველებს ვინ გყოლიათო?

„დიდმა“ ლიბერალმა, ქართველ ლიბერალთა გურუმ და მასწავლებელმა ლევან ბერძენიშვილმა წარმატებით აიტაცა 30-იანი წლების პროლეტკულტელთა ესტაფეტა და ჯერ ილიას, შემდეგ კი ვაჟა-ფშაველას წამოარტყა თავში: – ესენი რა პოეტები და რა მწერლები არიანო?

ბერძენიშვილის კოლეგამ და თანაპარტიელმა, ასევე „დიდმა“ ლიბერალმა, დავით უსუფაშვილმა, რომელიც ბედის ირონიით ოთხი წელი ედგა სათავეში საქართველოს პარლამენტს, საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ყველაფერი ის, რასაც ილია, ვაჟა, აკაკი, ზოგადად, მთელი ქართული მწერლობა თავისი არსებობის მანძილზე ემსახურებოდა და რასაც გალაკტიონმა „სამშობლოს გრძნობა განსაკვირველი“ უწოდა.

– მე არ ვეტყვი ჩემს შვილებს, გიყვარდეთ სამშობლო-მეთქი. მე მინდა, ისინი თავისუფალ ადამიანებად გაიზარდონ, მერე კი გინდ სამშობლო შეიყვარონ, გინდ ქალი. – აი, ამ შინაარსის „სიბრძნე“ გადმოაფრქვია ლიბერალმა დავითმა, რითაც, ფაქტობრივად, გათქვა ის პირველწყარო, ის იდეოლოგია, საიდანაც ეს განცხადება იღებს სათავეს.

დიახ, მწყობრად ჩამოყალიბებული იდეოლოგიაა ის, რასაც ზოგჯერ ცალკეული ჭკუანაღრძობი თუ ზნეობამოშლილი პერსონების მკრეხელურ გამოხტომებად ვიღებთ ხოლმე და, აქედან გამომდინარე, ამგვარ გამოხტომებს არც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და არც დიდი საფრთხის შემცველ მოვლენად აღვიქვამთ.

ესენი, ეს თანამედროვე პროლეტკულტელები, ცუდად იცნობენ კი არა, საკუთარი პერსონების „სიდიადით“ მონუსხულნი და დაყრუებულ-დაბრმავებულნი, საერთოდ არ იცნობენ იმ ატმოსფეროს, რომელიც ოქტომბრის რევოლუციიდან, ანუ 1917 წლიდან 1930 წლამდე სუფევდა „წითელ“ რუსეთში, თორემ იმდენ მსგავსებას დაინახავდნენ მათსა და იმ პერიოდის კომკავშირლებსა და პარტიულ აქტივისტებს შორის, თვითონვე გაოცდებოდნენ.

მათ ძალიან გაუკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ წითელ რუსეთში პირველი დეკრეტი სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამოიცა, რომლითაც ადამიანებს სრული სექსუალური თავისუფლებისკენ მოუწოდებდნენ.

კომკავშირელ გოგონას დიდ პარტიულ ცოდვად, ლამის პარტიის ღალატად ეთვლებოდა, თუ კომკავშირელ ბიჭუნას სექსუა-



ლური ჟინის დაკმაყოფილებაზე უარს ეტყოდა.

სწორედ მაშინ შეიქმნა პირველი საცდელ-ექსპერიმენტული კომუნები, სადაც ყველაფერი საერთო იყო, მათ შორის, ქალიც და კაციც.

ქალი კომუნის წევრი ყველა მამაკაცის ცოლი იყო, კაცი კომუნის წევრი ყველა ქალბატონის ქმარი.

ხოლო ამ იდეოლოგიის ავტორი და მამათმთავარი ლეიბა ბრონშტეინი, იგივე ლევ ტროცკი, თავად იყო მამათმავალი და იმ საყოველთაო სიდუხჭირის ჟამს განსაკუთრებით მდიდრულ სექსუალურ ცხოვრებას ეწეოდა.

ყოველივე ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ წითელი რუსეთის პირველი მთავრობის 23 წევრიდან 20 ებრაელი იყო, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1917 წლის ოქტომბრის თვეში პროლეტარიატის სახელით მომხდარი რევოლუცია სულაც არ იყო პროლეტარიატის რევოლუცია.





8 გვ.

# პენისი კალმის ნაცვლად, თანამედროვე პროლეტკულტელები და „წმინდანთა“ დისციპლინა...





7 გვ.

ლიბერალურ-სიონისტური იდეების ნაზავით ნასაზრდოები ეს დიდი შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ, რომელსაც დაუზუსტებელი ინფორმაციით, 20 მილიონამდე მართლმადიდებელი ქრისტიანის სიცოცხლე შეეწირა, სხვადასხვა ვარიაციებით დღემდე გრძელდება და გრძელდება იგი საქართველოშიც, რომლის ავანგარდში ე.წ. ლიბერალები დგანან, ხოლო მწერლები და პოეტები, რომლებსაც ზემოთ თანამედროვე პროლეტკულტელები ვუწოდეთ, სწორედ რომ ამ ლიბერალური იდეების რუპორები და გამხმოვანებლები არიან თავიანთი შემოქმედები თ.

ჩვენ გვგონია, რომ ეს ბულაძეები, ბურჭულაძეები, დეისაძეები, ქარუმიძეები, შამუგიები, ამაღლობლები, სხვანი და სხვანი, მანიაკალური მისწრაფებების, სექსუალურად აღვირახსნილი და გაუწონასწორებელი ადამიანები არიან და ამიტომ წერენ ამ სულელურ ტექსტებს, თუმცა, სინამდვილეში, საქმე სულ სხვაგვარად არის – მათ იციან, რასაც აკეთებენ და რატომაც აკეთებენ, მათ იციან, რასაც ემსახურებიან და ისიც იციან, რომ ეს სამსახური აუცილებლად დაუფასდებათ.

ისინი ჩვეულებრივი იდეოლოგიური მუშაკები, იდეოლოგიური დესანტის წარმომადგენლები არიან, რომლებიც დიდად არაფრით განსხვავდებიან, ვთქვათ და, ალე ფეოდოსიშვილისგან, რომელიც ასეთ რაღაცას ამბობდა: „დედას მოვკლავ და დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ ითხოვს ამას“.

ესეც ზუსტად ის რევოლუციაა, რის გამოც ამხანაგი ალე მზად იყო, დედა მოეკლა და მამა დაეხრჩო.

დიახ, ეს ერთი და იგივე რევოლუციებია, ოღონდ სხვადასხვა სახელით და სხვადასხვა ვარიაციებით.

ესენიც, ეს თანამედროვე პროლეტკულტელებიც, პირველყოვლისა, დედ-მამას ერჩიან, საკუთარ სამშობლოს ერჩიან, ეროვნულ ფასეულობებს და ღირებულებებს ერჩიან და რაც ყველაზე ამაზრზენია – ერჩიან, ზოგადად, ადამიანს.

მათთვის ადამიანი ის ქმნილება კი არ არის, რომელიც ღმერთმა შექმნა სახედ თვისა, არამედ ეს არის ნახევრად პირუტყვი, სექსუალურ ინსტინქტებს დამონებული, სასტიკი, საზარელი და უბადრუკი არსება.

აქედან ერთი ნაბიჯია დასკვნამდე: უბადრუკია ისიც, ვინც ეს უბადრუკი არსება შექმნა...

●

**„ჩვენ ყველანაირად მხარს დავუჭერთ და წინ წამოვსწევთ ისეთ ხელოვანთ, რომელნიც დაამკვიდრებენ ადამიანთა ცნობიერებაში სექსის, ძალადობის, ღალატის კულტს – ერთი სიტყვით, ყველანაირ უზნეობას.**

**სახელმწიფოს მმართველობაში შევქმნით ქაოსსა და გაუგებრობას;**

**შეუმჩნევლად, მაგრამ გამძაფრებულად და მუდმივად შევუწყობთ ხელს მოხელეთა და მექრთამეთა თვითნებობას, უზნეობას. თავხედობა და საქმეთა გაჭიანურება აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე.**

**პატიოსნება და წესიერება, გადაიქცევა რა წარსულის გადმონაშთად, გამასხარავებულ იქნება და ისინი არავის დასჭირდება.**

**უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და ტყუილი, ლოთობა და ნარკომანია, ერთიმეორისადმი ცხოველური შიში ურცხვობა, გამცემლობა და გაუტანლობა, ერთა შორის, აღმსარებლობათა შორის და თაობათა შორის მტრობა – ყოველივე ამას ჩვენ ოსტატურად და შეუმჩნევლად განვავითარებთ, ეს ყველაფერი აყვავდება მძაფრ ფერებში და მხოლოდ ცოტანი, ძლიერ მცირენი თუ მიხვდებიან და გაიგებენ იმას, რაც ხდება, მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ უმწეო მდგომარეობაში ჩავაგდებთ, ხალხის სამასხაროდ გავხდით, გამოვძებნით ხერხს, რათა მათ ცილი დასწამონ და გამოაცხადონ საზოგადოების ნაძირალებად...**

**ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანთა გარყვნისათვის ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან, ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვთაფლოთ და გავხრწნათ ისინი.**

**ახალგაზრდებისაგან ჩვენ შევქმნით ზნედაცემულ, სულიერებისაგან დაცლილ ჯაშუშებსა და მოღალატეებს“.**

ეს არის ფრაგმენტები ტექსტიდან, რომელიც საზოგადოებისთვის ალენ დალესის დოქტრინის სახელით არის ცნობილი.

ალენ დალესი XX საუკუნის 50-იან წლებში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი გახლდათ.

მკვლევართა შორის დღემდე გრძელდება დავა და კამათი იმის შესახებ, თუ ვინ არის სინამდვილეში ამ ტექსტის ავტორი.

ერთნი თვლიან, რომ დოქტრინის ავტორი ნამდვილად ალენ დალესია, მეორენი მიიჩნევენ, რომ ტექსტი საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ არის შეთხზული, ტექსტის ავტორად კი დალესის სახელი სპეციალურად იქნა გამოყენებული, რომ ამით ამერიკის შეერთებული შტატების დისკრედიტაცია მოეხდინათ.





მოდით, თავი დავანებოთ იმის დადგენას, ვინ არის ამ მართლაც სატანისტური დოქტრინის ავტორი.

კაცმა რომ თქვას, ამას პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს, მთავარი ის არის, რომ მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე თარგმნილი ეს ტექსტი ნამდვილად არსებობს და რაც ნამდვილად გამაოგნებელი და განსაცვიფრებელია, პრიოცესები, რომლებიც მთელ რიგ ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოშიც მიმდინარეობს, ზუსტად ამ დოქტრინაში გაცხადებული გეგმის მიხედვით ვითარდება და ხორციელდება.

ახლა კი პატიების თხოვნით და დიდი ბოდიშის მოხდით მინდა მკითხველ საზოგადოებას შევთავაზო რამდენიმე ფრაგმენტი თანამედროვე პროლეტკულტელების შემოქმედებიდან:

„მიდგება, როცა ტუალეტში შევალ, საიდანაც ეს-ესაა დედაჩემი გამოვიდა და იმის ბაყვებით შემთბარ უნიტაზზე ჩამოვჯდები“...

„ქალები ორ ნაწილად იყოფა – ვინც ყლაპავს და ვინც იგუბებს. დაკვირვებული ვარ: ვინც იგუბებს, უკეთეს მინეტს აკეთებს, ვიდრე ის, ვინც ყლაპავს. რასაკვირველია, ეს კანონზომიერება სულაც არაა, უბრალოდ, ჩემი გამოცდილებით ასე ვიცი. მაგალითად, ბობო არ ყლაპავს, მაგრამ მინეტს ქალღმერთივით აკეთებს. რომ ვათავებ, პირი სპერმით ევსება, გული კი ლოცვებით. აი, ესაა ნამდვილი მინეტი. წმინდანთა დისციპლინა – პირში სპერმა, გულში ლოცვა, ხელში – ყლე“.

„აი, პატრიარქი, რომელსაც სინამდვილეში ფრთები აქვს და ღამით გლდანის მასივის თავზე დაფრინავს. აი, ცირკი, აი, ბოზი, პანელზე მდგარი, აი, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, რომლებიც, იდეაში, ნეტარ არიან, აი, დიდძუძუებიანი ქართლის დედა და პატარაძუძუებიანი ქართველი ვარსკვლავი, თბილისის მერი, აი, გალაქტიონის მერი, აი, მსუქანი მერი, ჭანტურია – ჩემი მეზობელი, აი, ინგა გრიგოლია, აი, პრეზიდენტი. აი, თითი, კერძოდ კი შუა თითი, აი, ვარაზისხევი, აი, შუქნიშანი, აი, ერი, რომელიც წითელზე გადადის. რა დასამალია და, ხანდახან მწვანეზეც გადავდივართ. აი, მწერალთა კავშირი, აი, თამაზ წივწივაძე, რეზო ამაშუკელის წიგნით ხელში, აი, მეორადი მოხმარების ტანსაცმელი. აი, ჩემი ლექტორი გრივერ ფარულავა, აი, ქართული სუფრა, აი, „ასავალ-დასავალი“, აი, ქალწულობის შემნახველი სალარო, აი, ეროვნული სული, აი, ცივილიზაცია, აი, ჩვენ“.

– „აქებდე იმას, რომელსაც ჩვენში უთვალავი შესატყვისი აქვს. მადლობა უფალს, დიახაც, უთვალავი. მაგალითადრე, სირი, შიბლა, დიშლა, ბალაყანა, ტინკი, ვინკი, კუტუ, ჭუჭუ, ჭუჭულიკა, კიტრი, ყლე, როგორც საბაც განმარტავს, როგორც მამაკაცის სარცხვინელს. ბარეღამ აქვე, სარცხვინელი. მადლობა უფალს შაბანა, შამბალა, წუნურა, პიტალო, საოხრე, სამგლე, ჩოილარი, სამში გრძელი, ბანჯგვლიანი ნაგავი. მადლობა უფალს!“

„გვერდით თეთრთავსაფრიანი ქალები შექუჩულან. კვარცხლბეკივით ამაღლებულ ალაგას, მანაზე, რამდენიმე თხა დაუბამთ და იმათ წინაშე იჩოქებენ. თხები შარდავენ. დაჩოქილი ქალები კი შარდის ჭავლს პირებს უხვედრებენ და დალევას ლამობენ. მლაშე შარდს რომ გადაყლაპავენ, თავსაფრის კიდით ტუჩებს მოიწმენდენ და ჩურჩულით იტყვიან: მარილი ჩვენი მოგვეც ჩვენ, ჯიმშერ!“

„სწორედ იქ, თამარის შავ მურყვამთა შორის უნდა მოვტყნა მოტყინარე ტყვნითა.

კოიტუსი, როგორც კოსმოსი, უსასრულოდ მცირე და უსასრულად დიდი, ერთიან ველში ექცევა – ტოტალური შემოქმედების ველში“.

„არაერთხელ მიფიქრია მშობლების ჩაძაღლებაზე.

მე ვწოვდი ძუძუს, რომელიც, შესაძლოა, სექსუალური აქტის დროს მამაჩემს ედო პირში... აბაზანაში ბანაობისას ვიბანდი იმავე საპნით, რომლითაც, შესაძლოა, დედაჩემმა გაუპარსავი ფანჩარი გაიქაფა.

მე საკუთარ პენისს ვეალერსები.

ეს სექსის ახალი ვარიაციაა. საპონი ტესტია.

ამ ყველაფერს მივესალმები ისევე, როგორც დაიკოს ფარულ მასტრუბაციებს, რომელთა წარმოდგენისას სიცილისგან შარვალში გამდის“...

„განათლების მიღება საპირფარეშოშიც შესაძლებელია და არათუ შესაძლებელი, ზოგჯერ ძალიან სასიამოვნოც კი. გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ, ისეთი ავტორებიც კი ვიცი, ვინც საპირფარეშოში არათუ კითხულობს, წერს კიდევაც“.

„ყველა ლექსი, ალბათ, დაწერილი მაქვს სველ წერტილში. ყველა ლექსი, იმიტომ, რომ, შევდივარ წიგნებით, ფურცლებით და ა. შ... უნდა ითქვას ეს ერთხელ და სამუდამოდ. ასე რომ, ყველაზე დიდი ხელოვნება, დიახაც, იქმნება და იკითხება სწორედ ამ ადგილზე, სადაც მარტო ხარ“...

„ადამიანის თავზე დანთხეული ფეკალიები და თესლი მოიყვანს ახალ ცხოვრებას, როგორც წვიმას, რომელიც დანამავს ღალიან მინდვრებს და იმდენად მოაშენებს თავისუფლების მეომრებს ხოლო მერმე ამათ, თავისუფლების ამ მეომრებს მოიმკიან, გათიბავენ და გალეწავენ და მათი დაფქვილი იფქლიდან მოზელენ ცომს, რომელსაც თავისუფლების ქალები თავის მენსტრუალურ სისხლს შეურევენ“.

ეს ამონარიდები ძალიან მცირე ნაწილია იმ „თვალმარგალიტებისა“, რომლებიც უხვად არის მიმოფრქვეული თანამედროვე პროლეტკულტელთა „შემოქმედებაში“.

საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა შეიძლება არც კი დაიჯეროს, რომ ამ „თვალმარგალიტების“ ავტორთა უმრავლესობა ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატია, ამ პრემიას კი, როგორც მოგეხსენებათ, დასაწყისიდან დღემდე, ბატონი მამუკა ხაზარაძე აფინანსებს.

თქვენ უნდა ნახოთ და მოუსმინოთ, როგორი თავმოწონებით საუბრობს ხოლმე ნომინანტთა დაჯილდოებისას პატივცემული მამუკა და როგორ ამაყობს იმით, რომ ამ პრემიით ლიტერატურული პროცესების განვითარებას და ნიჭიერი ავტორების წარმოჩენას უწყობს ხელს.

შეიძლება არაფერი გესმოდეს ლიტერატურისა, შეიძლება საერთოდ ვერ ერკვეოდე მწერლობაში, მაგრამ ლიტერატურისა და მწერლობის ცოდნა რა საჭიროა იმის გასაგებად, რაც ამ ტექსტებში წერია?

ასე რომ, გამორიცხულია, ხაზარაძეს კომისიის თავმჯდომარე რატი ამაღლობელი ატყუებდეს, რომელიც, როგორც თვითონ აღიარებს, თავის „შედევრებს“ ტუალეტში ქმნის და ნამდვილი მწერლობის ნაცვლად სირითა და შამბალათი გაძეძგილ ტექსტებს აჩეჩებდეს ხელში.

მამუკა ხაზარაძე ბიზნესმენია, ბანკირია და, ცხადია, ის, როგორც ანგარიშიანი კაცი, ფულს ჰაერში ტყუილუბრალოდ არ გადაყრის.

მან, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის, რას აფინანსებს და რატომ აფინანსებს და ისიც კარგად მოეხსენება, რა პროპაგანდისტულ მანქანას ემსახურება ყოველივე ეს.

ხაზარაძე ერთგულად მიჰყვება ზემოთნახსენები „დალესის დოქტრინის“ ინსტრუქციას და ყველანაირად უწყობს ხელს იმ შემოქმედებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანთა შეგნებაში სექსის, ძალადობის, ღალატის, უზნეობის კულტს ნერგავს.

უფრო მეტი რა უნდა გაუფუჭოს ხაზარაძემ საკუთარ ქვეყანას, ან ისეთი რა უნდა გაუკეთოს, რომ ეს ღალატი და დანაშაული გადაიფაროს?

არ იფიქროთ, მხოლოდ მწერლობაში ხდებოდეს მსგავსი დივერსიული ხასიათის პროცესები.

არა, ეს კარგად გამართული და ორგანიზებული სისტემაა, რომელშიც ჩართულნი არიან პოლიტიკოსების ერთი ნაწილი, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია (განსაკუთრებით ელექტრონული მედია) ინტერნეტსაიტები, სოციალური ქსელები და ა. შ.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, საკმაოდ სერიოზული და სახიფათო ძალაა, რომელიც ქართულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მიღების პირველივე დღეებიდან მუდმივი რყევების, მუდმივი ბიძგების, მუდმივი ჯანჯღარის რეჟიმში ჰყავს და მას ნორმალურ, მშვიდ გარემოში განვითარების საშუალებას არ აძლევს.

●

27 წელია საქართველო მუდმივი შანტაჟისა და მასობრივი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფება და ამ უმსგავსობას ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს.

შანტაჟი ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებზე დიდი ხანია, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

თავიდან ბოლომდე შანტაჟის ელემენტებითაა გაჟღენთილი წერილი, რომელიც სულ ახლახან გამოქვეყნდა და რომელიც პოეტ ზვიად რატიანთან დაკავშირებულ ინციდენტს ეხმაურება.

„თქვენ ჯერ ერთი კვირაა, მინისტრი ხართ და უკვე მოფუჭდით – თქვენმა სისტემამ იძალადა მთვრალ ადამიანზე და მერე თქვენმავე სისტემამ გამოაქვეყნა მთვრალი ადამიანის დამონტაჟებული, საცოდავად შეკოწიწებული ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ის იგინება. კი, ბატონო, გინება მართლაც რა საჭიროა, პრემიერმინისტრი ხომ არ ხარ! მაგრამ უცნაური ისაა, რომ თქვენც და მთელი თქვენი სისტემა მთელი ეს დღეები ცდილობდით, ნაწამები ადამიანის გინება წარმოგეჩინათ ისეთ რამედ, რაც მის წამებას ლეგიტიმურს ხდიდა.

ეს კარგად დაიმახსოვრეთ: თქვენმა სისტემამ ოთხი საათის განმავლობაში აწამა ადამიანი. მართალია, გაგიმართლათ, რომ არ შემოგაკვდათ და ახალ გირგვლიანად არ გექცათ ეს საქმე, მაგრამ მაინც არ გაგიმართლათ – ეს ნაწამები ადამიანი აღმოჩნდა ზვიად რატიანი – თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოეტი საქართველოში. ასე რომ არა, ეს „ქეისიც“ ისე მიიჩქმალებოდა, როგორც არაერთი მიჩქმალულა. ოთხი საათის განმავლობაში ნაწამები ადამიანი რომ შეაგინებდა პოლიციელებს, ეს გაგიკვირდათ? მართლაც ცუდად გქონიათ საქმე, ამის მეტი რესურსი თუ არ გაქვთ – ლამის გული ამიჩუყდეს. დიახ, ჩვენ, მწერლები და პოეტები, ხანდახან ვთვრებით და ხანდახან ვიგინებით კიდეც (მაგალითად, ასე: მოძალადე პოლიციელებო, თქვენი ოჯახები მოვტყან!) და აწი, უფრო ხშირად დავთვრებით და უფრო ხშირად შევაგინებთ მოძალადე გაიშნიკებს.

თქვენ გგონიათ, ამ დამონტაჟებული, შეთითხნილი ვიდეოებით დაგვხევთ უკან და ამით საკუთარ სადისტ თანამშრომლებს „გააპრავებთ“? ცუდად გცნობიათ ქართველი ხალხი და მით უმეტეს, ჩვენი მწერლები. ჩვენ ასეთი რამეები „თამაშად და გვიჩანს მღერად“, ჩვენ ვიღებთ ამ გამოწვევას, შევდივართ ამ ომში. და ამ ომში გამარჯვებული წინასწარ არის ცნობილი (საიდუმლოდ გეტყვით, რომ ეს თქვენ არ ხართ). თუ სამართლიანი რეაგირება არ იქნება, ჩვენ შეურაცხმყოფლად გავაშავებთ თქვენს მოძალადე სისტემას – გავაკეთებთ შარჟებს, სასაცილოდ ავიგდებთ თქვენი სისტემის მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს, რომანების და ლექსების პერსონაჟებად გაქცევთ, ქუჩის სტენსილების მთავარ „გმირებად“ გამოვიყვანთ მოძალადე ნაბუშრებს, გავაკეთებთ თქვენთვის ფრიად უსიამოვნო პერფორმანსებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, მთელი დღეა ახალგაზრდა არტისტები უკვე გვთხოვენ ამ ნაბიჯებს. მადლობლები ვართ, ახალი შთაგონება რომ გაგვიხსენით. სანამ ამ საქმეში მონაწილე ერთი მოძალადე „გაიშნიკიც“ კი გარეთ იქნება, მანამ არ მოგცემთ მოსვენებას, არ ამოგასუნთქებთ! მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ შეგიყვანთ ისტორიაში – მართალია, ძალიან კომიკურები და საშვილიშვილოდ დასაცინები გახდებით, მაგრამ, რაც მთავარია, ისტორიაში შეხვალთ, ამას თქვენით ხომ ვერასოდეს მოახერხებდით.

ეს მუქარაა? დიახ, ეს მუქარაა, თქვენ გაქვთ მთელი სისტემა, რომლითაც შეგიძლიათ ადამიანს სცემოთ, მერე ვიდეოები შეუთითხნოთ, მერე ეს ვიდეო ყოვლად სამარცხვინო „შიზოგადოებრივ მაუწყებელს“ ეთერში გააშვებინოთ, გყავდეთ ფეისბუკზე 10 ლარად დაქირავებული ანონიმი ტროლების მთელი არმია და მოძალადე სისტემის ხელის ბიჭები, მაგრამ ჩვენ მოძალადეებს არ ვურიგდებით. არ ვურიგდებოდით წარსულში და არ შევურიგდებით მომავალშიც.

ბატონო გახარიავ, თქვენ ინტერვიუში თქვით, რომ ჩვენთან, თანამედროვე მწერლებთან ერთად გინდოდათ რეფორმის გატარება. თქვენ მართლა ეს გგონიათ რეფორმა? შევარდნაძისდროინდელი რეიდებით რომ დადიხართ, მთვრალ ხალხს რომ აწამებთ და მერე ვიდეოებს უთითხნით – მართლა ეს გგონიათ რეფორმა?! სადისტ პოლიციელებს რომ ხელს აფარებთ, ეგ გგონიათ რეფორმა? და ფიქრობთ, რომ ჩვენ მოვალთ თქვენთან და ამ ყველაფერში ხელს შეგიწყობთ? მგონი, მართლაც ვერ აცნობიერებთ ვითარების სირთულეს.

ჩვენ ვიცით საზოგადოების განწყობა (ეს ჩვენი პროფესიული თვისებაა), ამიტომაც ქართველი მწერლების, პოეტების, მხატვრების, პერფორმერების და ზოგადად, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი გაძლევთ ერთკვირიან ვადას, რომ ბოდიში მოიხადოთ საქვეყნოდ. და ამ ბოდიშს თან უნდა ახლდეს ძალიან მკაფიო მოქმედებები. ჩვენ უნდა ვიგრძნოთ, რომ თქვენ დაინახეთ საკუთარი სისტემის დანაშაულებრივი სახე.

ბატონო გახარიავ, შეთითხნილი ვიდეოს გამოქვეყნებით და ამით საკუთარი სადისტი პოლიციელების სახიდან ფურთხის ჩამოწმენდით თქვენ თავი მიიყენეთ კედელთან. ახლა თქვენი გადასაწყვეტია, შემობრუნდებით მაგ კედლიდან, თვალებში ჩაგვხედავთ და ბოდიშს მოიხდით, თუ დარჩებით მანდვე ეგრე აყუდებული სამუდამოდ.

ბოდიშს ველით! დროის ათვლა დაწყებულია.“

გასაოცარია პირდაპირ – რატომ ჰგავს ასე ძალიან 2017 წელს დაწერილი ეს ტექსტი ათეული წლების წინ გამოქვეყნებულ „დალესის დოქტრინის“ ტექსტს?

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პირდაპირ გადმოიწერეს, თავში და ბოლოში შსს მინისტრის გიორგი გახარიას გვარ-სახელი ჩასვეს და წავიდააა!

რა თქმა უნდა, მიუღებელია, დაუშვებელია, დასაგმობია, თუ პოლიცია მოქალაქეს ცემს, მაგრამ ასევე მიუღებელი, დაუშვებელი და დასაგმობია, როცა ცდილობ, ერთი კონკრეტული შემთხვევა მთელი შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციისთვის, მისი იმიჯის შესალახად და სახელის გასატეხად გამოიყენო, ხოლო ორი კვირის დანიშნულ მინისტრს წამშხომი ჩაურთო და თავზე ნაცრის დაყარა მოსთხოვო.

მეტი რა უნდა ექნა შს მინისტრს– თავისი ფეხით ეახლა მწერლებს, ფაქტის ობიექტურად გამოძიებას დაჰპირდა და რეფორმების ჩასატარებლად თანამშრომლობა შესთავაზა.

– რა თანამშრომლობა, რისი თანამშრომლობა? ჩვენ, მწერლებმა, როგორ უნდა ვითანამშრომლოთ პოლიციასთანო, – ისე გაკვირვებით იკითხა ერთმა მწერალმა, თითქოს მწერალი კი არა, ძველი ბიჭი იყო და პოლიციასთან ერთად პოლიციის რეფორმაზე სჯა-ბაასი „გრეხად“ ჩაეთვლებოდა.

ერთხელ დავწერე და კიდევ გავიმეორებ: მიუხედავად იმისა, რომ 27 წელია, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო ვართ, ხანდახან მგონია, რომ დღემდე ვერ გავითავისეთ და ვერ გავაცნობიერეთ, როგორ უნდა ვიქცეოდეთ და როგორ უნდა ვექცეოდეთ ჩვენს დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს.

თითქოს დღემდე ვერ გავაცნობიერეთ, რომ ქართული პოლიცია – ეს არის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პოლიცია, ჩვენი პოლიცია და არა სსრკ-ის მილიცია;







თითქოს დღედე ვერ გავითავისეთ, რომ სუს-ი – ეს არის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახური და არა კგბ ან გრუ.

ჩვენს მოქალაქეთა ერთ ნაწილს ქართული პოლიციის და სუს-ის მიმართ ისეთივე აგრესიული და მტრული დამოკიდებულება აქვს, როგორიც 27 წლის წინათ ჰქონდა მილიციასთან თუ კგბ-სთან, რომლებიც სრულიად ობიქტური მიზეზების გამო ქართველი კაცის ცნობიერებაში მისი თავისუფლების შემზღუდავ სადამსჯელო სტრუქტურებთან იყო ასოცირებული.

**ვფიქრობ, საქართველოს მოქალაქეების საკუთარ სახელმწიფოსთან გაუცხოებისა და კონფრონტაციის საგანგაშო პროცესს ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარედან რაღაც ძალები მიზანმიმართულად უწყობენ ხელს, ამ პროცესის შესაჩერებლად კი ვინ უნდა იბრძოდეს პირველ რიგში, თუ არა მწერალი, თუ ის ქართველი მწერალია და არა უფესვო, უჯიშო, უსამშობლო მჯღაბნელი, რომელსაც კალამი და თავისი სასქესო ორგანო ერთმანეთში არევია და ამ სასქესო ორგანოთი „წერს“ ლექსებს,**

10 გვ. →

# პენისი კალმის ნაცვლად, თანამედროვე პროლეტკულტელები და „წმინდანთა“ დისციპლინა...

← 9 გვ.

**მოთხრობებს, რომანებს, ვიღაც-ვიღაცები კი ამ უმსგავსობას ტაშს უკრავენ, ახალისებენ, აქეზებენ, პრემიებით აჯილდოებენ, რეკლამირებას უწევენ, რაც, საბოლოო ჯამში, ქართული მწერლობის განადგურებისკენ არის მიმართული.**

ქართული მწერლობის წინააღმდეგ ბრძოლა არ დაწყებულა დღეს, ის დაიწყო გაცილებით ადრე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ითქვა, რომ ქართული მწერლობა მოკვდა, ნამდვილი მწერლები კი მთაწმინდაზე განისვენებენო, ხოლო ამ ფრაზას



თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველად შემართული ქართველები დიდი აღტაცებითა და ოვაციებით შეხვდნენ.

– თუ ქართული მწერლობა მოკვდა, მაშინ საქართველოც მომკვდარა და თქვენ რა გიხარიათ – მკვდარს თავისუფლება და დამოუკიდებლობა რა ჭირად უნდა-მეთქი, – დავწერე მაშინ, 28 თუ 29 წლის წინათ და კინაღამ ჩამქოლეს.

**ქართული მწერლობის ნელი და მტანჯველი სიკვდილი მოკვდინების პროცესი დღემდე გრძელდება და, ღმერთმა ნუ ქნას, თუ ის მოკვდება მასთან ერთად მოკვდება საქართველოც, რადგან საქართველოს სული ქართულ მწერლობაში დგას.**

●

არის ასეთი მწერალი ლაშა ბუღაძე, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ თავის ერთ მოთხრობაში დაწვრილებით აღწერა თამარ მეფის ქორწინების პირველი ღამე, როცა თამარის ქმარი, გიორგი რუსი, იმის ნაცვლად, რომ დედოფალთან გაეყო სარეცელი, ქათამს მიუდგა.

მწერალი ისე დამაჯერებლად ჰყვებოდა ამ ფანტასმაგორიულ ამბავს, თითქოს თავისი თვალით ენახოს, როგორ ჩინჩლავდა ოკუპანტი რუსი დედოფლის კარზე გაზრდილ ქართულ „ქათამს“.

ცხადია, მოთხრობის მრისხანე პათოსი რუსეთისათვის თავსლაფის დასახმელად იყო მიმართული, თუმცა რუსეთს ყურიც არ შეუბერტყავს ბუღაძის ამ „მომაკვდინებელ“ დარტყმაზე, სამაგიეროდ, ქართველები გადაირივნენ და იმ დონეზე გადაირივნენ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა, საქმეში ჩარეულიყო და ახალგაზრდა მწერალი თავის კარზე ეხმო სამასლაათოდ.

ჟამთააღმწერელი დუმს, თუ რაზე ისაუბრეს მხცოვანმა პოლიტიკოსმა და ახალგაზრდა კალმოსანმა, თუმცა, როგორც ამბობენ, ამ ვიზიტის შემდეგ ბუღაძე კიდევ უფრო გაყოყოჩდა და გათამამდა და იქით შეუტია ყალყზე შემდგარ ქართველებს, რომლებიც, როგორც მათ სჩვევიათ, მალევე დაცხრნენ და დაშოშმინდნენ.

სულ მალე ბუღაძეს ტუზი დაეცა – ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ სახით, მისიანები მოვიდნენ, თამარის პაპას, დიდ დავით აღმაშენებელს, ქალაქიდან „აახვევინეს“ და პირი იქითკენ უქნეს, საიდანაც მოვიდა.

მართალია, ბუღაძე საჯიშედ ამორჩეულ ბუღასავით გალაღდა, წერასაც უმატა და უმატა, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ისეთი ვერაფერი შექმნა, თამარ მეფის ხსოვნის შეურაცხმყოფელი მკრეხელური მოთხრობის მიერ მოტანილი „დიდება“ და „სახელი“ გადაეწონა და დაეჩრდილა.

ფრიად უნიჭოდ და უგერგილოდ დაწერილი ეს „ნაწარმოები“ მისი შემოქმედების „მწვერვალია“ და ის მხოლოდ ამ „შედევრით“ შევა ქართული მწერლობის ისტორიაში.

ბუღაძეს პოლიტიკურ პროცესებში ლავირება ეხერხება და თანაც ამას ისე მოხერხებულად აკეთებს, რაიმე რომ უთხრა, აქეთ შემოგიტლიკინებს ენას – რა პოლიტიკა? რისი პოლიტიკა? მე მწერალი ვარ და ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ ვირჯები – სიბნელიდან სინათლისკენ მივუძღვები ჩემს ერსო.

ეს იმ ერზეა საუბარი, რომლის წმინდანის საწოლ ოთახში ისე უბოდიშოდ შეაბიჯა, თითქოს საკუთარ „სპალნაში“ შესულიყოს.

აშკარად მესიანისტური „გადახრები“ აქვს ბუღაძეს – ჰგონია, რომ ქართველი მოსეა და „ლურჯად ნახავერდები“ ქართული უდაბნოდან მაინცდამაინდ იმან უნდა გამოგვიყვანოს.



ბუღაძე, რომელიც ვითომდა პროდასავლური ღირებულებების რეკლამირება-პროპაგანდით სპეკულირებს, დღე და ღამე „ნაციონალური მოძრაობის“ ჯიბის ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის სტუდიაში ზის და მომენტს არ უშვებს ხელიდან, რომ პოლიტიკური ინტრიგისთვის ხელსაყრელი ესა თუ ის თემა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ინტერესებს არ მოარგოს.

ბუღაძეს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ნაციონალური მოძრაობის“ შტატგარეშე წევრი, მისი საიდუმლო აგენტი, რომელიც გაცილებით მეტ საქმეს აკეთებს „ნაცმოძრაობისთვის“, ვიდრე თუნდაც პარტიის ოფიციალური თავმჯდომარე.

ასე იყო ამჯერადაც, როცა პოეტ ზვიად რატიანთან დაკავშირებული სამწუხარო შემთხვევა ლაშა ბუღაძის მეცადინეობით და ორგანიზებით არა მხოლოდ გიორგი გახარიას, არამედ, ზოგადად, მთელი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ აქციაში გადაიზარდა, რომელსაც აქტიურად აშუქებდა „რუსთავი-2“ და, როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთს ასხამდა.

ვიზიარებ იმ ვერსიას, რომ ამ კარგად მომზადებული და ორგანიზებული აქციის მთავარი წამქეზებელი სწორედ რომ მამუკა ხაზარაძე იყო, რომელმაც, როგორც ჩანს, უცებ იყნოსა, რომ რატიანის თავგადასავლიდან მისთვის ხელსაყრელი ინტრიგა გამოდნებოდა, სასწრაფოდ შეაკრებინა თავისი ლაურეატების „როტა“, „სტარშინად“ ბუღაძე დანიშნა და გიორგი გახარიას წინააღმდეგ გალაშქრება ბრძანა.

როგორც ჩანს, ვიღაცები ლაურეატობის მეორე ან მესამე წრეზე აპირებენ წასვლას, ისე გულმოდგინედ იჭაჭებოდნენ, ისე ომახიანად, ისეთი ხაფი ხმით უტევდნენ შსს-ს, პოროკურატურას, სასამართლოს.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რატიანის ერთი დათრობის ხარჯზე აპირებდნენ ესენი აშენებას, თავად რატიანი კი, რომელიც ამ ორომტრიალში ყველაზე ნაკლებად ხმაურობდა, დიდად არც აინტერესებდათ.

ლაშა ბუღაძე საზოგადოებრივ მაუწყებელსაც გადასწვდა და მას სიცრუისა და სიბნელის გამავრცელებელი საბჭოთა რუდიმენტი, სამარცხვინო მაუწყებელი, ნეხვი უწოდა.

რა ჰქვია ამას, როცა „რუსთავი-2“-ის სახით თავად ზიხარ ნეხვში, თანაც სისხლით გაჟიჟინებულ ნეხვში და ნეხვს სხვას რომ უწოდებ?

იმდენი სიცრუე და სიბნელე აქვს გავრცელებული „რუსთავი-2“-ს, რომლის „ამბიონიდანაც“ ლაშა ბუღაძე, ეკა კვესიტაძე და მათი ამფსონები საზოგადოებრივ მაუწყებელს ლანძღავდნენ, ცოტა სინდისმაც ხომ უნდა შეგაწუხოს და იმაზეც ხომ უნდა დაფიქრდე, ვისი სამრეკლოდან არისხებ ზარებს?

ან უკიდურესად ფლიდი და ფარისეველი თუ არ ხარ, „ნაცების“ დროს ნაპროკურორალი კაცი რომ გაზის თავზე გენდირექტორად და იმის ინსტრუქციებს რომ ასრულებ, ვასიკო მაღლაფერიძეზე როგორ უნდა თქვა აუგი?

ჩემი თაობის ადამიანებს ძალიან კარგად ახსოვთ თეიმურაზ მაღლაფერიძე, შესანიშნავი ფილოლოგი და პედაგოგი, კარგი



მწერალი და, რაც მთავარია, თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი, რომელსაც თავის განუყრელ მეგობართან, იური ჯაფარიძესთან ერთად, ფეხით ჰქონდა შემოვლილი მთელი საქართველო.

ჩვენ, მაშინ, ცხადია, პატარა ბიჭები ვიყავით, მაგრამ, ამის მიუხედავად, ბატონი თეიმურაზი და ბატონი იური გვემეგობრებოდნენ, გვეძმაკაცებოდნენ და ამ მამაშვილური სიყვარულის ფონზე, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, ხაზგასმისა და პათეტიკის გარეშე გვასწავლიდნენ მთავარს და უპირველესს – სამშობლოს სიყვარულს.

ის, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, რომ არ ვთქვა, საკუთარ თავთან მართალი არ ვიქნები: ჩვენ ადამიანები ვართ და შეიძლება ყველას, მათ შორის, ვასიკო მაღლაფერიძესაც, რაღაც შეეშალოს, მაგრამ ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული – თეიმურაზ მაღლაფერიძის შვილმა, გამორიცხულია, საქართველოს საზიანო საქმეს მოაწეროს ხელი, რადგან ისიც რელიგიასთან გათანაბრებული იმ სწავლებიდან მოდის, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

დღეს, როცა სიტყვა სამშობლო ბევრისთვის შინაარსისგან დაცლილ ბგერების გროვად იქცა, ალბათ, ვიღაც-ვიღაცებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით სამშობლოს სიყვარულზე და, ზოგადად, სამშობლოზე ლაპარაკი.

ჩვენ მათთვის დროს ჩამორჩენილი გოები ანუ გოიმები ვართ, რომლებიც დახავსებულ და ჩასაძირად განწირულ ხომალდს, სამშობლოს, ჩავბღაუჭებივართ და მზად ვართ, მასთან ერთად შთავინთქათ მღვრიე და მრისხანე ოკეანის ფსკერზე.

დაე, ვიყოთ ჩვენ სულელი გოები, თქვენ კი, თქვენ, რომლებიც ყ..ამოგდებულები და შიშველ-ტიტვლები დატანტალებთ ქართულ მწერლობაში, თქვენ, რომლებიც ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ გარყვნათ, გააბითუროთ, გაათახსიროთ საკუთარი ერი, რადგან ეს გლობალიზმის საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი და გაყიდვადი „პროდუქტია“, ჩვეულებრივი მოღალატეები და გამყიდველები ხართ და მეტი არაფერი!

# პანკისის ხეობაში ტერორისტული დაჯგუფებების „დამფუძნებლები“ „ნაციონალები“ არიან

## არ რცხვენია შალვა ნათელაშვილს, ასე რომ გაიმასხარავა თავი?




ლაფანყურის სისხლიანი სპეცოპერაციის (სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ) „შემოქმედმა“ ნაცმოძრაობამ და მისმა განაყრებმა ლამის ტერორისტების ხელშეწყობაში დაადანაშაულოს მოქმედი ხელისუფლება. „ბრალის“ გასამყარებლად „ჩამჭრელ“ კითხვებს სვამენ, რატომ გაათავისუფლეს ციხიდან საერთაშორისო ტერორისტად შერაცხული აჰმედ ჩატაევი, ვინ დაეხმარა მას საქართველოში შემოსულიყო, როგორ შეიძლებოდა სპეცოპერაციები მსხვერპლით დამთავრებულიყო, მით უმეტეს, სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა მოეკლათო და ა.შ. ექსომბუდსმენი უჩა ნანუაშვილი უფრო შორს წავიდა, სასწრაფოდ „გამოაცხო“ ლოზუნგი „როცა სახელმწიფო კლავს“, რაც მაშინვე აიტაცეს ნაცებმა და მათმა სატელიტებმა, პანკისელებს „თანადგომა“ გამოუცხადეს და აქციაც დააანონსეს, თუმცა კანცელარიასთან მოწყობილი აქცია ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა მრავალრიცხოვნებით. უდანაშაულო ადამიანის მკვლელობის მომხრე არავინაა, მაგრამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ ენდობა ამ ე.წ. უფლებადამცველებსა და სამართლის მაძიებლებს.

„ვინც ყველაზე მეტად ლანძღავს რუსეთს და ამ ქვეყანასთან ურთიერთობის ნორმალიზების მსურველთ, სწორედ ისინი არიან რუსეთის ე.წ. ლიბერალური ფრთის „პროტეჟეები“ და შესაბამისად მათი ინტერესების გამტარებელნი საქართველოში“, აცხადებდა ჩვენთან ინტერვიუში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე. პროფესიონალი „ოპერატივნიკის“ პოზიცია რომ საფუძველს არ არის მოკლებული, ზოგიერთი რუსული მედიასაშუალების „წუხილიც“ მოწმობს, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები იგნორირებას უკეთებენ ოპოზიციონერი დეპუტატების კითხვებს, როგორ შემოაღწიეს საქართველოში ტერორიზმში ეჭვმიტანილებმა, როგორ შეძლეს მათ იარაღის მთელი არსენალის დედაქალაქში შეუმჩნევლად შეტანა, რატომ გაათავისუფლეს ჩატაევი ციხიდან, ასევე მათ მოთხოვნას იუსტიციის მინისტრი მივიდეს პარლამენტში და ანგარიში ჩააბაროს. პასუხის გაცემის მაგივრად, ისინი კოლეგებს მოუწოდებენ, პროვოკაციული კითხვებისგან თავი შეიკავონო. ერთ-ერთ რუსი ჟურნალისტს ისიც აინტერესებს, რატომ ფიქრობდნენ სპეცოპერაციის ორგანიზატორები, რომ ჩატაევი ცოცხალი ჩაბარდებოდა. ოპერაციაც არ ჰგავდა დაგეგმილს, წინააღმდეგ შემთხვევაში 20 საათი არ გაგრძელდებოდაო. საეჭვოა, კითხვის ავტორებმა, როგორ მოხვდა ჩატაევი საქართველოში რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა პოზიცია გაიზიარონ. რუსი ძალოვნების ვარაუდით, ჩატაევის ლიკვიდაცია შესაძლოა საქართველოსა და თურქეთის ერთობლივი მოქმედების შედეგს წარმოადგენდეს. სტამბოლის ტერაქტის შემდეგ, თურქულმა სპეცსამსახურებმა ჩეჩენი წარმოშობის პირები მკაცრ კონტროლზე აიყვანეს, მათ მცირე ეჭვის საფუძველზეც კი აკავებენ, შეიძლება ტერორისტებთან აქვთ კავშირიო. თურქებმა ჩატაევი ჯერ იძულებული გახადეს საქართველოში დაბრუნებულიყო, შემდეგ ის ქართული სპეცსამსახურების კონტროლქვეშ მოექცაო. ზოგიერთი რუსი ჟურნალისტი ეთანხმება ქართველ ექსპერტთა იმ ნაწილს, რომლებიც აცხადებენ, რომ სირიიდან და ერაყიდან წამოსულმა „ბოევიკებმა“ ტრანზიტულ გზად თურქეთი და საქართველო აირჩიეს. საქართველოში მარტო იმიტომ კი არ გროვდებიან „ბოევიკები“, რომ ის სატრანზიტო ქვეყანაა, ქვეყნის შიგნითაც არსებობს რადიკალებისა „ჯიჰადისტური ინტერნაციონალის“ რიგების მატების წყაროები. „იგილის“ კვალი რომ გამოჩნდებოდა საქართველოში, ეს ნახევარი წლის წინ ვთქვით, პანკისიდან ძალიან ბევრი ადამიანი იყო იქ წასული, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ დაცემის შემდეგ, ცოცხლად გადარჩენილები სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. აშკარაა, ახლო აღმოსავლეთში გამოცდილება მიღებული ტერორისტები, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ სამხედრო ინსტრუქტორობა, სამშობლოში ბრუნდებიანო. რუსებმა რომ არ გვითხრან, ჩვენ ვერ უნდა მივხვდეთ, რომ ასე მოხდებოდა და ხდება კიდეც, რაც საქართველოს უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებს. მაშინ რას ემსახურება ამ „ყოვლისმცოდნე“ პოლიტიკოს-„ენჯეოშნიკთა“ მხრიდან სპეცოპერაციების და ხელისუფლების კრიტიკა? სხვათა შორის, რუსულ მედიაში ასეთმა ვერსიამაც გაიჟღერა, ჩატაევს თბილისში დაბრუნება რუს კურატორთა ბრძანებით შეეძლო. საქართველო მისთვის ერთგვარი დერეფანი იყო, რუსებმა ჩატაევი გაუშვეს ან გადაიყვანეს საქართველოს გავლით, იმ პირობით, რომ რუსეთში აღარ დაბრუნდებოდა და იმ იმედით, რომ მას ქართული სპეცსამსახურები გაანეიტრალებდნენ. ამით რუსული სპეცსამსახურები ორ კურდღელს დაიჭერდნენ, არასასურველ მოწმესაც მოიშორებდნენ და მათთვის სასურველ ხმაურსაც გამოიწვევდნენ, რასაც საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენებდნენო. ფაქტია, მიზანი მიღწეულია, ქართული სპეცსამსახურების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციებს ისეთი აჟიოტაჟი მოყვა ადგილობრივი პოლიტიკოსების, „ენჯეოშნიკებისა“ და მედიის მხრიდან, რომ რუსებს ალბათ არც დაესიზმრებოდათ.




პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ **დავით გაგნიძის** აზრითაც, ვიღაცის ინტერესშია მასობრივი, თანაც არაჯანსაღი ხმაური და დაინტერესებულთა რიცხვში მარტო რუსეთი არ არის.

**დავით გაგნიძე**: „აშკარად ძალიან დიდი საფრთხეები ავიცილეთ. მე ვახტანგ გომელაურს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ კარგად ვიცნობ მის ერთ-ერთ მოადგილეს, ის საკმაოდ გამოცდილი, თანაც ფრთხილი ადამიანია. თუნდაც აქედან გამომდინარე მიმაჩნია სრულ აბსურდად ის მოსაზრება, რომ ჩვენს სპეცსამსახურებს წინასწარ, გამიზნულად ჰქონდათ დაგეგმილი ვინმეს ლიკვიდაცია. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, თავი დაანებონ ჩვენი სპეცსამსახურების ლანძღვას, პირველ რიგში ამ ვითომ ობიექტურ-დემოკრატიულებს ვგულისხმობ. თუ მართლაც რაიმე გაკეთდა არასწორად, ეს უცხოელი „დირექტორებისა“ და „ჩანერგილების“ მიზეზით მოხდებოდა, მაგრამ მათ როგორ შებედავენ გაკრიტიკებას, მარტო ჩვენს მთავრობაზე ხელის შეწმენდა ეხერხებათ. რა ინფორმაციების გასაჯაროებას ითხოვენ, რომელი ქვეყნის სპეცსამსახური უთანმებს ოპერაციის გეგმას ოპოზიციონერებსა და არასამთავროებებს? ამის მომთხოვნი ან სრული უწიგნურია, ანდა ქვეყნის მოღალატე. თუ ასეთი პატრიოტები არიან, იმ ფრანგი ჟურნალისტს მოსთხოვონ პასუხი გამონათქვამზე, ქართველ ერს მომავალი არ აქვსო. ამათ პირიქით, აიტაცეს ამ ვიღაც გადამთიელის ნათქვამი და ტაშს უკრავენ, აი, როგორ „ობიექტურად“ გვაფასებენო. დამოუკიდებელი მუშაობის საშუალებას არ აძლევენ ჩვენს სამართალდამცავ და უშიშროების სტრუქტურებს და თურმე კიდევ ჩვენ ვყოფილვართ უუნაროები და კორუმპირებულებიც. 2000-იანი წლების წლების დასაწყისში ტერორიზმში ეჭვმიტანილი ორი პირი (თურქი და არაბი) დავაკავეთ, მაგრამ უცხოელმა „პარტნიორ-მეგობრებმა“ გაგვაშვებინეს. ცნობისთვის, ორივეს პასპორტები საფრანგეთში იყო დამზადებული. ასე რომ, თავი დაანებონ ქართველების კრიტიკას, თუ არ გაჩერდებიან, იმ ადამიანების გვარებსაც დავასახელებ. ბევრს რომ ტლიკინებენ ეს ვაი-პოლიტიკოსები და ე.წ. უფლებადამცველები, ვინ და რატომ გაუშვა ჩატაევიო, ვინმეს სჯერა, რომ ჩვენი მთავრობა დამოუკიდებლად აიღებდა ამხელა პასუხისმგებლობას?

ჩატაევმა სანამ თავზე არ დაამხო ყველაფერი, მანამდე ყური არ გააბარტყუნეს თურქეთმა თუ დასავლეთმა, ხომ ნახეთ, ბოლომდე არც ამბობდნენ, რომ გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატაევიც იყო, იმიტომ არ ამხელდნენ, რომ პირველ რიგში დასავლეთს დაარტყამდა, რომელმაც ლტოლვილის სტატუსით აღჭურვა და შეიფარა. სწორედ ეს არაინფორმირებულობა ბადებს ხალხში ათას ეჭვს თუ ვერსიას და ჯოხი ჩვენს მთავრობაზე ტყდება. ამიტომ კეთილი ინებონ და ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღონ, საქართველო კურტნის მუშა ხომ არ არის, ყველას ტვირთს მას რომ ჰკიდებენ.

ადრეც გითხარით, უწყებებში მარტო ხელმძღვანელების შეცვლა არაფერს ნიშნავს, მთავარი შუა, შემსრულებელი რგოლია, ისაა საქმის გამკეთებელიც და გამფუჭებელიც. ვინ არიან თუნდაც ძალოვან სტრუქტურებში შუა და დაბალ რგოლებში საკვანძო თანამდებობებზე — ისევ ნაციონალების დანიშნული კონტიგენტი, ძირითადად მათი აქტივისტები და უცხოური სპეცსამსახურების „ჩანერგილები“. ახლა აღარ დავიწყებ იმის განხილვას, პროფესიონალები თავიანთი ინიციატივით გაყარეს ნაციონალებმა შემსრულებელი რგოლებიდან თუ ვინმეს მითითებით მოხდა ეს, მთავარია, სტრუქტურები, რომლებზეც დგას ქვეყნის უსაფრთხოება, ამ აგენტურისგან გაიწმინდოს. გამოძიების დასრულებამდე ძნელია იმის მტკიცება, უმიზეზოდ ესროლეს თუ არა თემირლან მაჩალიკაშვილს, მაგრამ თუ გაირკვა, რომ აუცილებლობას არ წარმოადგენდა მისი ამ ფორმით გაუვნებელყოფა, ჩათვალეთ, რომ სწორედ ამ აგენტურის წარმომადგენლის ხელით, ან ამგვარის მითითებით მოხდა. ისეთი ხალხი ინიშნება თანამდებობებზე, რომ ვერავინ დამარწმუნებს, ეს ჩვენი მთავრობის ინიციატივით ხდებოდეს. მოუსმინეთ, რა განცხადებებს აკეთებდა და აკეთებს უჩა ნანუაშვილი, ეს დაიცავდა საქართველოს მოსახლეობის უფლებებს? ნუთუ არ დადგა დრო, რომ გავარკვიოთ საიდან ფინანსდება არასამთავრობო სექტორის თუ პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები, რომლებიც ყოველთვის ანტისახელმწიფოებრივი განცხადებებით გამოდიან. ამ რბილად, რომ

12 გვ. →

# პანკისის ხეობაში ტერორისტული დაჯგუფებების „დამფუძნებლები“ „ნაციონალები“ არიან



11 გვ.

ვთქვათ, არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხს, მერე თანამდებობებზე გვინიშნავენ და თურმე ჩვენი ჯიბიდან უნდა ვარჩინოთ. რას ჩაცვივდნენ დუისში და პირდაპირი ეთერით გვაჩვენებდნენ ახალგაზრდა კაცის დასაფლავების პროცესს, ამას ვითომ გულშემატკივრის პოზიციიდან აკეთებდნენ? პირიქით, ცეცხლზე ნავთს ასხამენ, მაგრამ საბედნიეროდ ქისტები არ აყვნენ ამათ პროვოკაციას. ნაციონალების და ამ გაურკვეველი წარმომავლობის **„ენჯეოშნიკებისგან“ ალარაფერი მიკვირს, მაგრამ რა განცხადებებს აკეთებს შალვა ნათელაშვილი? თურმე უკვე გამოუკვლევია და დაუდგენია ბიძინა ივანიშვილის „დანაშაულობები“, ბარემ „ბრალიც“ წაუყენოს და დაიჭიროს. ასე როგორ უნდა გაიმასხარავო თავი პარტიის ლიდერმა, მით უმეტეს იურისტობაზე პრეტენზიის მქონე კაცმა?** გასაგებია, რომ წინასწარ არ უნდა გამოაცხადო დამნაშავედ, მაგრამ გასამართლებელია იმის თქმა, სრულიად უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ ჩაატარეს სპეცოპერაციაო, ეს არ არის უსაფრთხოების სამსახურის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა? ნათელაშვილის პროფესსიონალ იურისტობაზე დიდი წარმოდგენის არ გახლავართ, რადგამ კარგად მახსოვს მაგის გამომძიებლობის პერიოდი, მაშინაც ასეთი ლაქლაქა და არაფრის გამკეთებელი იყო. ვის წისქვილზე ასხამს წყალს თავისი პროვოკატორული განცხადებებით, ამხელა კაცი ვერ უნდა მიხვდეს? შეიძლება ხვდება კიდეც, მაგრამ ეტყობა დავალებებს ასრულებს. საეჭვო ფულით დაფინანსებული პოლიტიკოსების, არასამთავრობოების და მედიის გვერდით რომ დადგება პარტია, იმის საქმე წასულია.

„მწვანე ზოლიდან“ შემოვიდნენ ტერორისტები და იარაღიც იქიდან შემოიტანესო, ეგ. „მწვანე ზოლი“ (დაუცველი) საქართველოს კი არა, მასზე ბევრად ძლიერ ქვეყნებსაც აქვს, სად ჰყავს საქართველოს იმდენი მესაზღვრე, რომ მთელი პერიმეტრი გადაფაროს. ამას თავი დავანებოთ, რა დონის შტერი უნდა იყო, იარაღის ქვეყნის გარედან შემოტანაზე რომ ისაუბრო. ადრეც გითხარით და გავიმეორებ, სულ არ ჭირდებოდათ იარაღი და საბრძოლო მასალის შემოტანა, ტერორისტებს ყველაფერი ადგილზე ხვდებათ. ცნობისთვის, ნაციონალები შევარდნაძის მმართველობის დროსაც აქტიურად ცდილობდნენ პანკისის ხეობის აფეთქებას, მაშინ „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ერქვათ. როგორ დაძვრებოდნენ ეს ე.წ. რეფორმატორები პანკისში „წამალზე“, ყველა ძველი პოლიციელი გეტყვით. მაშინ ის ინფორმაციაც გვქონდა, როგორ ურიგდებოდა ეს გუნდი ჩეჩენ საველე მეთაურ გილაევს, თბილისში ჩამოდი, 3.000 შეიარაღებულ კაცს დაგახვედრებთ და შევარდნაძე ჩამოვაგდოთო. გილაევი არ დათანხმდა, თორემ ესენი ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ. მავანმა ისიც გაიხსენოს, საიდან და რა მიზეზით აღმოჩნდა პანკისში „ტყვეობაში“. თურმე თბილისიდან გაიტაცეს, თბილისელი კაცი იმასაც ვერ ამბობდა, თუნდაც თვალებახვეული, რა გზებით გაიყვანეს კახეთის გზაზე. სინამდვილეში ვითომდა თბილისიდან გატაცებული, ნარკომოვაჭრის „გადაგდების“ გამო „გასკვანჩეს“ პანკისშივე და მაგისი გამოხსნა, ლამის ჩეჩნებთან და ქისტებთან შეიარაღებულ კონფლიქტად დაუჯდა ქვეყანას, რადგან ხეობაში იარაღით შევარდნას ითხოვდა ერთი-ერთი მაგათი ლიდერი. რომ არა სამართალდამცავების უდიდესი ძალისხმევა, ტრაგიკულ შედეგამდე მიიყვანდნენ ქვეყანას ეს პროვოკატორები. მაშინ პანკისში თუ დაძაბულობის კერა არსებობდა, ესეც ამათი და სხვა მოღალატე ჩინოსნების დამსახურება იყო. ქისტები ჭკვიანი ხალხია და როგორც ახლა, არც მაშინ აყვა ამათ ბინძურ პროვოკაციებს. ბოლოს ერთიც მინდა დავამატო, ქისტები თავადვე ითხოვდნენ დახმარებას მთავრობისგან, ახალგაზრდობას იბირებენ ტერორისტები და სირიაში გაყავთო, ხოლო შემდეგ, როცა ძალოვანი სტრუქტურები რაიმე ღონისძიებას ატარებდნენ, ერთი ამბავი ატყდებოდა, უდანაშაულო ახალგაზრდებს იჭერენ, რეპრესიებს გვიწყობს ხელისუფლებაო. ვფიქრობ, ეს უკმაყოფილებაც ამ ვითომდა პროდასავლელი ლიბერალების წაქეზებით ხდებოდა, რომლებიც ეთნიკურობასა და რელიგიაზე მანიპულირებით ცდილობდა თავისი ბნელი ზრახვების განხორციელებას.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# გამოაცხადებს თუ არა სამედიცინო კომისია ტრამპს შეურაცხადად?

ახალი, 2018 წელი მსოფლიო პოლიტიკაში მოულოდნელობებით დაიწყო. ერთ-ერთი მთავარი მოვლენა კორეის ნახევარკუნძულზე მოხდა. წლის პირველივე დღეებში ჩრდილოეთელებმა სურვილი გამოთქვეს ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, რომელიც თებერვალში სამხრეთ კორეაში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ თამაშები ჩრდილოეთიდან სულ რაღაც 80 კილომეტრში ჩატარდება. ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე ორივე კორეის ლიდერებმა ტელეფონით ისაუბრეს და გადაწყდა, რომ სახელმწიფოების დელეგაციები შეხვდებოდნენ. პირველი ასეთი შეხვედრა 9 იანვარს გაიმართა. პირდაპირი დიალოგი სამხრეთელებსა და ჩრდილოეთელებს შორის ორ წელზე მეტია, არ ყოფილა.

ნეიტრალურ, დემილიტარიზებულ ტერიტორიაზე, სადაც დელეგაციებმა გამართეს მოლაპარაკება, ჩრდილოელებმა წამოაყენეს წინადადება, ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ერთი დელეგაციით ჩაიარონ. „ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს, ერთი ხალხი ვართ“, — განაცხადეს ჩრდილოელებმა. მათივე სურვილია, ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქ ფენჩხიანს ფართო დელეგაციით ესტუმრონ. სპორტსმენების გარდა, ჩრდილოელთა დელეგაციაში იქნებიან სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. 9 იანვარს შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებები კვლავ გაგრძელდებოდა და დეტალებზე საბოლოო გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ.

ჩრდილოეთ კორეის გადაწყვეტილებამ გააოცა არა მხოლოდ მათი სამხრეთელი თანამოძმეები, არამედ მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოება. პოლიტოლოგების აზრით, ჩრდილოელების მხრიდან რაიმე საბრძოლო მოქმედებების დაწყება გამორიცხულია, რადგან მათ სურვილი გამოთქვეს არა მარტო ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, არამედ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის აღდგენაზე — რამდენიმე ათწლეულის შემდეგ გაყოფილი კორეის ოჯახების წევრებს ეძლევათ შეხვედრის საშუალება, რაც დღემდე თითქმის წარმოუდგენელი იყო.

კორეელთა ფაქტობრივად შერიგების პროცესს დაწყებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში არაერთგვარი რეაქცია გამოიწვია. მართალია, პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მოლაპარაკებების დაწყებას თავის დამსახურებად მიიჩნევს, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე პოლიტიკოსები სხვაგვარად ფიქრობენ. მათი აზრით, აშშ კარგავს გავლენას საერთაშორისო არენაზე, რაც ამერიკელი პოლიტიკოსების შეშფოთებას იწვევს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ ეძებენ გზებს ტრამპის გადასაყენებლად. დემოკრატი კონგრესმენები მის ფსიქიკურ შემოწმებასაც კი ითხოვენ. თუ სამედიცინო კომისია დაადგენს ტრამპის შეურაცხადობას, ასეთ შემთხვევაში გაიოლდება მისი თანამდებობიდან გადაყენება. მართალია, ტრამპმა განაცხადა, ჯანმრთელობას არ ვუჩივი და თავს მხნედ ვგრძნობო, მაგრამ მის მოწინააღმდეგეებს არაფრის სჯერათ.



ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი გამოდგა ამერიკელი ჟურნალისტის მაიკლ ვულფის წიგნი „ცეცხლი და მრისხანება“, რომელშიც აღწერილია ტრამპის ადმინისტრაციაში არსებული ინტრიგები. ავტორი, ძირითადად, ეყრდნობა ტრამპის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომლის, ვინმე ბენონის მონათხრობს. წიგნი, მართალია, დიდი ტირაჟით უცებ გაიყიდა, მაგრამ მოგვიანებით ბენონმა უარყო თავისი გამონათქვამები.

კიდევ ერთ ფერად რევოლიციას გადაურჩა ახლო აღმოსავლეთი. ირანში შარშან წლის მიწურულს ფასების ზრდის საწინააღმდეგოდ აქციები გაიმართა. მოგვიანებით დემონსტრანტთა ნაწილმა ხელისუფლების გადადგომა მოითხოვა. მათ უმალ მხარი აშშ-მაც დაუჭირა. გაეროში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ნიკი ჰეილიმ პირდაპირ განაცხადა ირანში რეჟიმის შეცვლის აუცილებლობაზე. თუმცა ამერიკელთა მხარდაჭერამ ირანში უკურეაქცია გამოიწვია და ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნები აშშ-ის საწინაამდეგი მანიფესტაციაში გადაიზარდა. ამჟამად ირანში სიმშვიდეა.

ევროპის კონტინენტზე მიგრანტთა პრობლემა კვლავ აქტუალურია. ევროკავშირის ქვეყნები — ავსტრია, ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი კვლავ ეწინააღმდეგებიან აზია-აფრიკის ქვეყნებიდან მიგრანტთა მიღებას. ევროპელმა ექსპერტებმა გაავრცელეს სენსაციური ვარაუდი. მათი თქმით, ადვილი შესაძლებელია, პოლონეთმა, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, დატოვოს ევროკავშირი. ამის მიზეზი მოსალოდნელი სანქციებია, რომელიც ევროკავშირმა პოლონეთს დაუწესა. ერთ-ერთი სადამსჯელო ზომა ხმის ჩამორთმევაა, რამაც პოლონეთის ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია. ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოებიდან გამომდინარე, ევროპელ ანალიტიკოსთა აზრით, ევროკავშირის არსებობას დიდი დღე არ უწერია.

სირიაში არსებულ რუსულ სამხედრო ბაზაზე ხმინინში იგილის მებრძოლებმა შეტევა სცადეს. ერთი შეხედვით ახალი თითქოს არაფერია, რადგან ტერორისტები მუდამ უტევენ მათ მოწინააღმდეგეებს. საგანგაშო ის გარემოება გახლდათ, რომ იგილის მებრძოლებმა 13 უპილოტო საფრენი აპარატი



გამოიყენეს. რუსმა სამხედროებმა მოახერხეს მათი განეიტრალება, მაგრამ საინტერესოა, საიდან უნდა ჰქონდეთ იგილის წევრებს ასეთი მაღალტექნოლოგიური იარაღი. მათ ხელში უპილოტო საფრენი აპარატების არსებობა საფრთხეს უქმნის როგორც რეგიონს, ასევე ევროპის ქვეყნებსაც. ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ხელისუფლებამ და კიდევ უფრო გააძლიეროს ქვეყნის თავდაცვა.

მართალია, ასტროლოგები გვარწმუნებენ, ძაღლის წელიწადი მშვიდი იქნებაო, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი მოულოდნელობა გველოდება, რასაც უკვე პოლიტოლოგები ვარაუდობენ.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# არც მკვლელი ვარ და არც ნარკობარონი, მაგრამ იქნებ მაინც შემიწყალოთ, ჩემო მოწყალეო პრეზიდენტო!

შემიწყალეთ. ბატონო პრეზიდენტო!

წლებია გწერთ და გეკითხებით, გთხოვთ და გედავებით, ერთხელ მაინც შემიწყალეთ, შემიწყალეთ და პასუხი გამეცით დაგროვილ კითხვებზე.

რასა იქმნთ, ბატონო პრეზიდენტო, პირის დაბანაზე გადასულხართ, როგორც ვხედავთ. ხელმა ხელი დაბანა, მერე ხელმა ხელი გადმობანა და პირისახის დრო დამდგარა.

წინა კვირას ერთ გაზეთში ინტერვიუ დაიბეჭდა — ისევ ბრალს გდებენ, არ ახალია, მესმის, არც გაგიკვირდებოდათ, ალბათ. მე ერთი რამ გამიკვირდა მხოლოდ — მშიშარა გიწოდეს, ბატონო პრეზიდენტო. ვინ ვინ და მშიშარა ნამდვილად არა ხართ, ფილოსოფიიდან პრეზიდენტობაში ისე მოულოდნელად და უშიშრად მოადინეთ ზღართანი, თვალიც არ დაგიხამხამებიათ,





საზოგადოების წუწუნზე, ჩვენი პრეზიდენტი ქორწინების გარეშე ცხოვრობს ქალთან და პირველი ლედის მაგივრად პირველი საყვარელი გვყავსო, წარბიც არ შეგტოკებიათ, მერე ვინც პრეზიდენტად მოგავლინათ უფილოსოფოსო ფილოსოფიიდან ისიც ისე უშიშრად გადააგდეთ და ნაცებს დაუდექით თავდებად — ხოდა, რა მშიშარა, რის კურდღელი, ჩემო ლომო!

როგორც ხსენებულ ინტერვიუში დაწერეს, მეტადონის პროგრამაში გყოლიათ ოჯახის წევრები და მერე ამოუწერიათ საბუთებიდან — იმასაც კი წერენ, ზუსტად ვიცით სად კაიფობდა პირველი ლედიო და საბურთალოსკენ იშვერენ ხელს.

აი, თურმე რატომ არ მოგყავდათ ცოლად, ბატონო პრეზიდენტო, აი, თურმე რატომ იკავდებდით თავს — ჩვენ კიდევ რაღაც ჩვენთვის მიუწვდემელ ფილოსოფიურ კრედოში გვეგონა იყო საქმე.

შემიწყალეთ, ჩემო პრეზიდენტო და მითხარით, ანუ, ნარკომანი პირველი ლედი შემოგვატყუეთ? ნარკომანი ცოლი არც პირველია და არც ბოლო, მაგრამ ლედი? ამას ისევ ცრუ ფილოსოფოსი სჯობს.

მეც არ მიკვირდა, რა ემართება ამ პირველ ცოლს (ლედი როგორღა დავუძახო, მეუხერხულება) ნიჭიერის ჟიურიში ყოფნისას, გიჟივით რომ წამოხტება ხოლმე გაუგებარად აღფრთოვანებული-თქო, იქეთ მაღალქუსლებზე შემდგარ კაცზე გადაირია, დედა, ისე რთულია მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელებით სიარული, ისეთი ნიჭიერია ის, ვინც კაცია და ქალივით აცვია, რომ პირდაპირ უნდა გადავიდეს ფინალშიო. მერე შიშველი, მეტრანახევრიანი იაპონელის დანახვაზე გახდა დასაბმელი, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმაო? რამ დაახამა? ხო, კიდევ, სპორტული ტანმოვარჯიშე ნახა ჰულაჰუპით და წამოხტაა... მზეა ესაო, კაშკაშა მზეო და იტირა...

შემიწყალეთ, ბატონო პრეზიდენტო და მითხარით, მართალია, რომ თქვენი ცოლისძმა დამამძიმებელ გარემოებებში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის გამო დააკავეს და ციხეში 4 წელიც არ დაუყვია? ჯერ სააკაშვილს შეუწყალებია და გაუნახევრებია პატიმრობის ვადა, მერე თქვენ შეწყალების კომისიის გვერდის ავლით შეგიწყალებია თ. ა, სააკაშვილს რატომ უსხამდით თურმე წყალს ხელის დასაბანად, სცოდნია თქვენი ცოლისძმის ამბავი, ვალშიც ყოფილხართ, ცოლის, თუ საცოლის, თუ საყვარლის ნარკოტიკზე დამოკიდებულის ამბავიც ეცოდინებოდა უცილობლად.

შეწყალების კომისიის გარეშე, როგორ შეიწყალეთ, ჩემო ყოვლისშემძლე პრეზიდენტო, ჰა?

კაცი რომ დაგეკითხოთ, არაფერი შეგიძლიათ, კაცმა რომ გთხოვოთ, უფლებები არა გაქვთ — ცოლი მეტადონის პროგრამიდან ისე ამოწერეთ, კვალი დააფარინეთ, ცოლისძმას იარაღის ტარების და სროლის კანონიერი უფლება აქვს და ციხიდან ერთი თითის დატკაცუნებით გამოგყავთ, ნათესავებიდანაც ზოგს რა პრობლემა ჰქონდა სამართალთან და ზოგს რა — ასეთი საქმეების მოკვარახჭირება უუფლებოდ, დახმარების გარეშე — არ გამოვა, არ მოხერხდება, დასტურ ვიცი.

აბა, მხოლოდ ჩვენი დახმარება არ შეგიძლიათ, ბატონო პრეზიდენტო?

ოჯახი ქვეყანაზე მაღლა დგას, სისხლი, თუნდაც ნარკოტიკით გაჟღენთილი — ყველა სხვა მოქალაქეზე მაღლა დგას, დაღვრილი სისხლი, თქვენი ნათესავის მიერ მოქალაქის დაღვრილი სისხლი რა მოსატანია თქვენი სანათესაოს ძვირფას სისხლთან, ბატონო პრეზიდენტო, ბაგრატიონი მაინც იყოთ!

გამოიყენეთ ეგ თქვენი ნაცნობობა, ბატონო პრეზიდენტო და შეგვიწყალეთ ჩვენ, შეგვიწყალეთ უკანონობისგან, ნარკოტიკისგან შეგვიწყალეთ, ძალადობისგან და ყაჩაღებისგან დავიფარეთ, ქურდებისგან შეგვიწყალეთ, პირველი ლედი მოგვარიდეთ, ბატონო პრეზიდენტო, და თუ ისე შეგვიწყალებთ, რომ თქვენც გაგვერიდებით, მაგას რაღა სჯობს.

შემიწყალეთ, ბატონო პრეზიდენტო და მითხარით, მართლა 226 ადამიანი შეიწყალეთ? და 226 საქმეს გაეცანით?

შემიწყალთ, ბატონო პრეზიდენტო და ამიხსენით, როგორ მოხვდა შეწყალებულთა სიაში არასრულწლოვანთა და უმწეო მდგომრეობაში მყოფი პირის განზრახ მკვლელობისთვის გასამართლებული პირები, როგორ მოხვდნენ განსაკუთრებულად დიდი რაოდენობის ნარკორეალიზაციისთვის გასამართლებული პირები, როგორ მოხვდნენ სამუდამო პატიმრები ამ სიაში?



შემიწყალეთ, ბატონო პრეზიდენტო და მითხარით, როგორ მოახერხეთ, რომ 226 შეწყალებული მსჯავრდებულიდან მხოლოდ ორია არასრულწლოვანი? ა, თქვენ ხომ განზრახ მკვლელობისთვის, თაღლითობისთვის, ნარკოტიკების რეალიზაციისთვის ნასამართლევი ადამიანები უნდა შეგეწყალებინათ, არასრულწლოვნებისთვის დრო და ადგილი სად დაგრჩებოდათ.

ვიფიქრე, ქალ მსჯავრდადებულებს მაინც დაინდობდით, მხოლოდ 13 შეგიწყალებიათ, როგორ, ვერც იმათ დაიმსახურეს მკვლელების და ბარიგების გვერდით დგომა?

ოჯახი და ოჯახის მეგობრები, ოჯახი და ის ადამიანები, რომლებსაც თქვენი ოჯახის წევრებთან დანაშაულის ტიპი აერთიანებთ — აი, თურმე თქვენი კრედო, ბატონო პრეზიდენტო, აი, თურმე თქვენი პრეზიდენტობის მიზანი — მე კიდევ რას არ ვფიქრობდი, რას არ მიგაწერდით...

მახსოვს 2010 წელს ბუშმა 19 ადამიანი შეიწყალა. დედა, რა ცოტა მსჯავრდებული ყოლიათ ამერიკაში. ხოდა, ბოლო წუთს, მე-19 მსჯავრდებულის შეწყალება გადაიფიქრა, რადგან გაარკვია, რომ მსჯავრდებული მამა პოლიტიკური პარტიების დამფინანსებელი იყო და ასე ვთქვათ, კორუფციის და ჩაწყობის სუნი ეცა.

თქვენ რატომ არ გეცათ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მარტო პირველი ცოლი და კრიმინალურდაბოლილი სანათესაო რატომ გეცათ?

შემიწყალეთ, ბატონო პრეზიდენტო და გადამარჩინეთ დაყაჩაღებისა და მოკვლისაგან, ქურდისა და წამლისაგან, მოტაცებასა და დაშინებისაგან, მიხსენით, ბატონო პრეზიდენტო, ძალადობისგან.

ვიცი, უშიშარი ხართ, ვითარცა პრეზიდენტი, რატომ არ იქნებით უშიშარი, სამთავრობო დაცვაც გიცავთ და ძველი ბიჭებიც, ნარკომანებიც თქვენს მხარესაა და კანონიც, რეზიდენციაშიც ხართ გამოჭიმული და ყაჩაღები ბანდაც გახვევიათ, მე რა ვქნა, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ვინ შეგვიწყალებს.

ხოდა, პირის დაბანითაა პრეზიდენტი დაკავებული, სანამ პრეზიდენტია კი უშიშარია, მაგრამ პრეზიდენტი რომ აღარ იქნება, მერეც ხომ უნდა ჩამობანოს ვინმემ ხელ-პირი, მერე ხომ უნდა შეიწყალონ, ვითარცა თავად შეიწყალა? ამიტომ ვადის ამოწურვასთან ერთად შიში წვეთობით ეღვრება სულში, ვადის ამოწურვასთან ერთად მეტი მოკავშირის პოვნას ცდილობს, თუნდაც კრიმინალურ წრეში, თუნდაც იმ პარტიაში, რომლის ლანძღვის გამოც ავირჩიეთ პრეზიდენტად.

შემიწყალეთ, ბატონო პრეზიდენტო, წლებია მონოლოგით გესაუბრებით, იქნებ ერთხელ, ერთხელ მაინც დიალოგზე გადავიდეთ და კითხვებზე მიპასუხოთ.

**თამო კაშელავა**
555 46 08 04

# ყირგიზეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ავერსი და რევერსი

გადადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე ექს-პრეზიდენტმა ალმაზბეგ ატამბაევმა განაცხადა, რომ დასვენების პერიოდში საპარლამენტო არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მომზადების საქმით დაკავდება.

სდპყ-მა უნდა აჩვენოს, როგორი უნდა იყოს პარლამენტი, – ამბობდა ატამბაევი.

ყირგიზეთის რესპუბლიკის მეოთხე პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ სანამ პარტია შედეგებს აჩვენებდა, მანამდე ის იმ ჭუჭყისგან უნდა გათავისუფლებულიყო, რომელშიც 6 წლის განმავლობაში იმყოფებოდა, იმის მიუხედავად, რომ დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია.

დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ქვეყანაში მმართველ პოსტებზე იმყოფებიან, აქვთ მსხვილი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია პარლამენტში, თუმცა მთავარი ძალაუფლებისგან მაინც ჩამოშორებულნი არიან.

დღესდღეობით სდპ-ში თავმოყრილია იმ ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომლებმაც სდპ პარტიად გამოაცხადა 2010 წელს, რევოლუციის შემდეგ და ხალხს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა აღუთქვა.

ერთ-ერთი ლოზუნგი, რის გამოცა სდპ-ის მხარდამჭერები მაშინ ქუჩაში გამოვიდნენ, იყო ბრძოლა ტოტალური კორუფციის წინააღმდეგ, მაგრამ გავიდა წლები და ქვეყნის მმართველმა ლიდერებმა გადალახეს მხოლოდ ერთი პრობლემა – მნიშვნელოვან სახელმწიფო პოსტებზე ნათესავების გადანაწილების ნაცვლად, თანამდებობებზე ღირსეული ადამიანები მოიყვანეს, რომლებსაც ნამდვილად შესტკიოდათ გული ქვეყანაზე, რესპუბლიკაზე, თუმცა, სამწუხაროდ, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა.

უფრო მეტიც, ქვეყანა შევიდა სრულიად ახალ ფაზაში – „წრიულ გირაოში“– პარტიული პრინციპით.

დღეს სდპყ-ის წევრობა ნიშნავს ხელშეუხებლობას და რაც უფრო ურყევი პოზიცია გექნება პარტიაში მით მეტად უსაფრთხოდ იქნებით.

შეიძლება სწორედ ამიტომაც, უკანასკნელი ხუთი წელიწადი, ლამაზი და ხმამაღალი ლოზუნგების მიუხედავად, კორუფციის ჭაობიდან არც ერთი თევზი არ ამოუყვანიათ. საშუალო დონის კორუფციონერებმა კი ღიმილისმომგვრელი სასჯელები, ან უბრალოდ, ზეპირი გაფთხილებები მიიიღეს.

ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი გახლავთ დეპუტატ ჟაგორკა კენეშას ურთიერთობა სდპყ-ის ფრაქციის წარმომადგენელთან მუზაფარა ისაკოვთან.

გასული წლის თებერვალში გენერალურმა პროკურატურამ ისაკოვის წინააღმდეგ სს საქმე აღძრა და უკვე მარტში განაცხადა კიდეც მისი ბრალის დამტკიცების თაობაზე. გაითვალისწინეს, რომ კორუფციას ხანდაზმულობის ვადა არ აქვს, პროკურატურას მოუხდა დაემტკიცებინა, რომ დეპუტატმა, რომელმაც წარსულში სუზაკსკის რაიონის ტაშ-ბულაკსის აულში ოპგ-ს ორგანიზაცია ჩამოაყალიბა (sadac შედიოდა რაიონის სახელმწიფო რეესტრისა და არქიტექტურის სამსახურები), სასოფლო-სამეურნეო მიწის უკანონო გაყიდვით ინდივიდუალური საცხოვრებლის მშენებლობის ნებართვა გასცა და პირადად თვითონ მოაწერა ხელი 315 უკანონო გადაწყვეტილებას ნაკვეთების გადაცემის შესახებ. გაყიდული ფართობების მთლიანი რაოდენობა 14 ჰექტარს შეადგენდა. 315 ნებართვაზე თითოეულმა მოქალაქემ 3000 აშშ დოლარი გადაიხადა, რაც თითქმის მილიონი ამერიკული დოლარია. ეს თანხა ყოფილი დეპუტატის ჟოგორკა კენეშას ჯიბეში აღმოჩნდა.

თუმცა, მანამდე ამ საქმის ხმამაღლა განმცხადებელი პროკურატურა უცებ ჩაჩუმდა, ანდა ჩააჩუმეს. საქმე გადაეგზავნა არქივს ისე, რომ სასამართლომდე არც მისულა. ისაკოვი კი კვლავ ამაყად იკავებს დეპუტატის სავარძელს – ფარავს წარსულის ბნელ საქმეებს და სარგებლობს „დეპუტატის ხელშეუხებლობით“.

სდპყ-ის პარტიის წევრის მანდატი ყველაზე საუკეთესო დაცვაა პარლამენტის დეპუტატისთვის. ამ მანდატითაა დაცული ჟილდიზ მუსაბეკოვი, რომელიც წინსაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველს წარუდგა, როგორც სამი შვილის დედა და სამაგალითო მეუღლე. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა მამხილებელი სტატია, სადაც სამი შვილის დედა ემუქრებოდა ჟურნალისტს, რომ მას 10 მამაკაცს გააუპატიურებინებდა.

„მე შენ ცოცხლად გაგატყავებ!“ – უყვიროდა დეპუტატი სატელეფონო საუბარში ჟურნალისტს (ამ საუბრის ჩანაწერი ინტერნეტში ახლაც შეგიძძიათ იხილოთ).

თუმცა პარტიის წევრებს შორის რეალური გამაუპატიურებლებიც არიან.

პარლამენტის არჩევნების პერიოდში, ორი წლის წინ, სდპყ-ის სიის კანდიდატებს შორის 57-ე ნომრად დილმურატ აკპარალიევი ირიცხებოდა, რომელიც ჯერ კიდევ 1999 წელს გაუპატიურების გამო გაასამართლეს, მაგრამ, მოგვიანებით, 2010 წლის მარტში, ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ დაბეჭდა ინფორმაცია „ყირგზეთში ოპგ-ს წევრები ჩატკალისა და ალაბუგონსკის რაიონის ე.წ „გლავარები“ დააკავესო“. ინფორმაციას ჯალალ-აბადის პრესასახური ავრცლებდა. მათი ცნობის თანახმად, მილიციას მიმართა სოფელ ალაბუკას მაცხოვრებელმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მოტყუებითა და გამოძალვით მას პირადი თანხა 66000 ყირგიზული ფული წაართვეს. გამომძალველებს შორის პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გვარმაც გაიჟღერა, მაგრამ არც თაღლითობისთვის, არც აკპარალიევის მიერ უკანონო შეიარაღების გამოვლენისთვის სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. ამასთან ერთად, 2012 წელს ის ალა-ბუკინსკის რაიონის დეპუტატად აირჩიეს, ხოლო შემდეგ ამ რაიონის წარმომადგენლად პარლამენტში.

ჟაგორკა კენეშა დღემდე გახლავთ პარტიის წევრი.

2010 წლიდან კიდევ ერთი სექსუალური მანიაკი იჯდა პარლამენტში. ტოროგაი ზულპუკაროვმა თანამშრომლებთან ერთად 1991 წელს მუქარითა და სხეულის დაზიანებით მათთვის უცნობი მოქალაქე ოროზალიევი გააუპატიურეს. იმ პერიოდში ზულპუკაროვი მილიციელად მუშაობდა, თუმცა სდპყ-ის ფრაქციის წევრზე ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ თქმულა. საინტერესოა, რომ პატიმრობის პერიოდი მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია ასე: „კერძო მეწარმე“.

აქვს კი ზულპუკაროვს უფლება მუშაობდეს ყირგიზეთის პარლამენტში? მორალურად არა, მაგრამ, როგორც ჩანს, სოციალ-დემოკრატიული პარტია მორალურ ასპექტზე ყურადღებას არ ამახვილებს.

2013 წელს ჟოგორკა კენეშას მეხუთე მოწვევის პარლამენტის დეპუტატის ირინა კარამუშკინას მძღოლმა სამსახურებრივი ავტომობილით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ორი ადამიანი გაიტანა, მათ შორის, ერთი გარდაიცვალა, მეორე დახეიბრდა. მძღოლმა ორი წელი პირობითი სასჯელი მიიღო, ხოლო დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გაცემაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. დეპუტატს ბოდიშიც არ მოუხდია თავისი მძღოლის დანაშაულის გამო არც დაზარალებულისთვის, არც გარდაცვლილი ყმაწვილის ოჯახისთვის, არც ხალხისთვის.

არის კიდევ ერთი „პატიოსანი ადამიანი“ – ულან პრიმოვი, რომელსაც ასევე ოკუპირებული აქვს სდპყ საპარალმენტო სავარძელი.

ერთ წელზე მეტი ხნის წინათ პროკურატურამ ის დაადანაშაულა სახელმწიფო ტენდერებში უკანონო მონაწილეობაში, რომელიც პრიმოვის სახელთან იყო აფილირებული.

არც ისე დიდი ხნის წინათ კომპანიამ, რომელიც მისი მამის სახელზე გადარეგისტრირდა, გაიმარჯვა 8 სახელმწიფო ტენდერში, რომელიც მლიანობაში 28 მილიონს შეიცავდა, თუმცა აქამდე სამართალდამცავმა ორგანოებმა არავითარი ზომები არ მიიღეს. პრიმოვი კი საპარლამენტო ტრიბუნიდან სინდისის ქენჯნის გარეშე აცხადებს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი“ ორიენტირებულია კორუფციაზე და გამჭვირვალობის ამაღლებას მოითხოვს, თუმცა მისთვის ამ კუთხით ყველაფერი ცხადზე ცხადია.

2010 წელს ხალხი, რომლებმაც მოაწყვეს რევოლუცია კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლების წინააღმდეგ, დღეს ხედავს სდპყ, რომელიც ხალხს აღუთქვამდა სამართლიანობის პოვნას და დამკვიდრებას და ახლა თავად გადაიქცა დანაშულის წყაროდ, ხოლო ადამიანებს, რომელთაც გუშინ და დღეს ქრთამის აღებაში ადანაშულებდნენ და გაუპატიურებაში და გამოძალვაში იყვნენ ეჭვმიტანილნი, ყირგიზეთის კანონმდებლობა იცავს. ეს დამნაშავეები დღეს პარტიის აქტიური წევრები არიან, სარგებლობენ უმაღლესი უფლებით და აქვთ დეპუტატის მანდატი, რათა დაფარონ თავიანთი დანაშულები ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

სოორონბაი ჟეენბეკოვი, ყირგიზეთის ახალი პრეზიდენტი, ჰპირდება ხალხს, რომ ის დაიწყებს ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ ქვეყანაში. შეძლებს კი პრეზიდენტი ამოძირკვოს კორუფცია და გაწმინდოს პარტია იმ ადამიანებისგან, რომლებიც ანაგვიანებენ მას?

ძალიან გვინდა გვჯეროდეს, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, რომელსაც ყირგიზეთის მოსახელობის უმრავლესობამ ოქტომბრის არჩევნებზე ნდობა გამოუცხადა, გაამართლებს იმედებს და პირობას შეასრულებს – გადააქცევს ყირგიზეთს კანონიერებისა და წესრიგის ქვეყნად.







**ინტერნეტმასალების მიხედვით მოამზადა**
**შოთიკო ბათიაშვილმა**

# ვულოცავთ!



„სულიერი მოძღვარი ყოველი ქრისტიანი ადამიანის ცხოვრებაში უწინამძღვრებს სულიერი შვილის ქრისტიანულ გზას. შესაბამისად, მას ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, პირველ რიგში, შემოქმედის წინაშე“, — ამბობდა ბერძენი სწავლული კლიმენტი ალექსანდრიელი.

არის მოძღვარი, რომელიც, სწორედ რომ არ გაურბის დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მას შემოქმედის წინაშე აკისრია და ეს გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი მკალავიშვილია.

14 იანვარს მამა ბასილი 72 წლის შესრულდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბელიარის ათასგვარი მოწაფეებისაგან მან უამრავი ტანჯვა და დამცირება გადაიტანა, კვლავ მტკიცედ დგას ღვთის გზაზე. აშენებს გრანდიოზულ ტაძარს შთამომავლობისთვის, ნებისმიერი ღვთისმოსავის სანუგეშოდ.

გილოცავთ დაბადების დღეს, სულ ასე მხნედ, ქრისტეს რწმენით გევლოთ მრევლისა და ყველა ქრისტიანის იმედად.

„საერთო გაზეთი“




# დაჭრილია დაცვის ორი წევრი და პოლიციელი

კლუბ „ბასიანის“ დამფუძნებელი ნაჯა ორაშვილი მიიჩნევს, რომ თამაზ ქვლივიძის მიმართ ბრალი უნდა გადაკვალიფიცირდეს და დამძიმდეს.

როგორც ორაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი” განაცხადა, ქვლივიძეს ბრალდება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით უნდა წარედგინოს.

„როგორც მითხრეს, სასამართლო იყო დახურული. მე ვფიქრობ, რომ მოსამართლეზე განხორციელდა ზეწოლა. არ მახსენდება მსგავსი პრეცედენტი, რომ ასეთი მუხლით ბრალდებული ადამიანი გათავისუფლდეს. ვინ აგებს ამ ადამიანზე პასუხს, რამე რომ მოახდინოს?! მე ვფიქრობ, რომ პროკურატურამ არასწორი ბრალდებები წაუყენა ბრალდებულს. ბრალდებები უნდა გადაკვალიფიცირდეს განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით“, — განაცხადა ორაშვილმა.

მისივე თქმით, ინციდენტის დროს სასწრაფო სამედიცინო დახმარებამ დაიგვიანა. „ეს ადამიანი რომ მოხვედრილიყო კლუბში, ჩვენ არ ვიცით, რამდენი ადამიანის სიცოცხლე დადგებოდა საფრთხის ქვეშ. დაცვის ერთ-ერთ წევრს ხელზე აქვს ნაკბენი. დაჭრილია დაცვის ორი წევრი. ერთი დაჭრილია თავის არეში, რომელსაც სამი ფენა ნაკერები ადევს თავზე. დაცვის ერთი წევრი გულთან ახლოს ხელშია დაჭრილი. ხელის არტერია აქვს გადაჭრილი და სისხლისგან გვეცლებოდა. დაიგვიანა სასწრაფომაც და ბევრი სისხლი დაკარგა. მესამე დაჭრილი არის პოლიციის წარმომადგენელი, რომელიც გადაეფარა ჩვენს დაცვის უფროსს. ქვლივიძე იყო კიდევ ერთ ადამიანთან, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მიესაჯა”, — განაცხადა ორაშვილმა.


# სახალხო მკურნალი
## (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ჩემი შვილი გაშორდა მეუღლეს. მათ მხოლოდ ჯვარი ჰქონდათ დაწერილი. სამოქალაქო ქორწინებაში არ ყოფილან. ერთად იცხოვრეს 7 წელი და ჰყავთ ორი შვილი. მოხდება თუ არა ქონების გაყოფა?**

— არ მოხდება, რადგან ჯვრისწერა არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

**— მაინტერესებს „საჩუქრის“ თემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით.**

— კანონის „ საჯარო სამსახურის შესახებ“ მე- 5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქარი“ არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.

მე-2 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო

ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა — 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

მე-3 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, ხოლო

ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა — 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

ამავე კანონის 51-ე მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქრად“ არ ჩაითვლება:

ა) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია;

ბ) „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელიც გადაეცემა საჯარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს;

გ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და

რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს;

დ) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს;

ე) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება;

ვ) საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ამავე კანონის 52-ე მუხლის მიხედვით, თუ საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ საჩუქრის ღირებულება აღემატება ამ კანონით დასაშვებ მოთხოვნებს ან/და გარკვეული მიზეზებით (ფოსტით მიღებული საჩუქარი, საჯაროდ გადაცემული საჩუქარი) შეუძლებელი იყო საჩუქრის მიღებაზე უარის თქმა, მაშინ ის ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს მიღებული საჩუქრის დასახელება, შეფასებითი ან

ზუსტი ღირებულება/ოდენობა, მიუთითოს მჩუქებლის ვინაობა, ხოლო აკრძალული საჩუქარი სამი სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — საფინანსო სააგენტოს.

# დაუჯერებელია, მაგრამ...



### ბრიტანელმა სტუდენტმა საფლავში მეშვიდე საუკუნის განძი აღმოაჩინა

ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა, 23 წლის თომას ლაკლინგმა სოფელ უინფარფინგის სასაფლაოზე (ბრიტანეთი, ნორფოლკის საგრაფო) აღმოჩინა ოქროს სამკაულები, რომლის საერთო ღირებულება 195 ათასი დოლარია. ახალგაზრდა გათხრებს აწარმოებდა ძველი ციხესიმაგრის ადგილზე, როცა მისმა ლითონის მაძიებელმა აუწყა იქ ლითონის არსებობის შესახებ.

ლაკლინგმა ძვირფასეულობა ძველი სასაფლაოს გვერდით ჯერ კიდევ 2015 წელს იპოვა, მაგრამ სპეციალისტებისთვის ამის შესახებ არაფერი უამბია.

ბრიტანელის ყველაზე ძვირფასი ნაპოვნი აღმოჩნდა დიდი ზომის ოქროს კულონი, რომელიც ქალის სხეულთან ერთად იყო დამარხული და ჩვენი წელთაღრიცხვის 650–675 წლებს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, გარდაცვლილი ერთ-ერთი პირველი ანგლოსაქსი ქრისტიანი გახლდათ.

### ბანკროტები პონტე ვეკიოს ხიდიდან

1345 წელს აგებული პონტე ვეკიოს ხიდი იტალიის ქალაქ ფლორენციაში მდებარეობს. პონტე ვეკიოს თავიდან ვაჭრობის ადგილად იყენებდნენ – აქ იყო განლაგებული სავაჭრო რიგები, ხორცისა და თევზეულის გასაყიდად, რათა ქალაქის მაცხოვრებლები სუნს არ შეეწუხებინა. ამბობენ, რომ სწორედ აქ ჩაისახა სიტყვა „ბანკროტი“. თუ მოვაჭრეს არ შეეძლო ვალის გადახდა, მის დახლს “banko”, რომელზეც მისი საქონელი იყო დალაგებული, ქალაქის დაცვა “rotto” ანადგურებდა. ამ პრაქტიკას „ბანკროტტო“ ეწოდა, რადგან დახლის გარეშე მოვაჭრეს არ შეეძლო რაიმეს გაყიდვა.

### „ოქროს“ ყველი „ტუბანტინის“ ტრიუმში

1916 წლის 6 მარტის ღამეს ორტურბინიამა ჰოლანდიურმა ხომალდმა „ტუბანტიამ“ ამსტერდამი დატოვა და გეზი ბუენოს-აირესისკენ აიღო. მალევე ხიომალდი გერმანულმა ტორპედომ ააფეთქდა და ჩაიძირა. ხომალდის 280 მგზავრი და გემის პერსონალი – 80 ადამიანი, ნავებში ჩასხდნენ, თან წაიღეს წყლის, პროდუქტის მარაგი და ძვირფასი ნივთები და გემი დატოვეს. ტვირთის გადარჩენაზე საუბარიც არ ყოფილა, რადგან ის დაზღვეული იყო და თანაც არაფერი საინტერესიო იქ არ იყო: ქსოვილი, ჭურჭელი და 3000 თავი ჰოლანდიური ყველი. თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ „ტუბანტას“ ოქრო გადაჰქონდა, მაგრამ არც გემის ეკიპაჟის წევრებმა, არც მგზავრებმა და არც თავად კაპიტანმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ძვირფასი ზოდები ყველში ოსტატურად იყო დამალული. სამასი თავი ყველი სამას ოქროს ზოდთან ერთად, რომლის ღირებულება ორი მილიონი გირვანქა სტერლინგი გახლდათ, ფსკერზე აღმოჩნდა. „ტუბანტიის“ ჩაძირვის ადგილას რამდენიმე ექსპედიცია გაემგზავრა, მაგრამ დღემდე უცნობია, იპოვეს თუ არა მათ კონტრაბანდული ოქრო.



### ჩინელმა მილიონერმა თავის თანასოფლელებს სახლები აჩუქა

ჩინელმა მილიონერმა სიუნ შუიხუამ თავისი მშობლიურ სოფლის Xiongkeng-ის ყველა მცხოვრებს ლამაზი კეთილმოწყობილი სახლი აჩუქა.

54 წლის მაგნატმა ქონება მშენებლობითა და ფოლადის მრეწველობით იშოვა და მშობლიურ სოფელში ბულდოზერით დაბრუნდა და ყველაფერი მიწასთან გაასწორა. ხის ქოხების ნაცვლად აქ კეთილმოწყობილი სახლები და მოასფალტებული გზა გაჩნდა.

სიუნმა 72 ოჯახისთვის ააგო სახლები, მაგრამ იმ 18 ოჯახს, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მის ცხოვრებაში, განსაკუთრებული სახლები გადასცა.

გარდა ამისა, სიუნი თავისი სოფლის იმ მცხოვრებლებს, რომელთა შემოსავალი საშუალოზე დაბალია, სამჯერად კვებას დაჰპირდა.

### რომაელი სენიციანის დაწყევლილი ბეჭედი

სენიციანის ბეჭედი ბრიტანეთში 1700-იანი წლების დასასრულს იქნა ნაპოვნი. ის დიდი ზომისაა, 12 გრამს იწონის, ძალზე თავისებური დიზაინი და ლათინური წარწერა აქვს: „სინიციან, იცხოვრე უფალთან მშვიდობით“. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კი აღმოაჩინეს თიხის ფირფიტა, რომელიც ბეჭედთან იყო დაკავშირებული. ის ვინმე სილვიანის მიერ იყო დაწერილი, რომელიც ღმერთ ნოდენსს შესჩიოდა, რომ



მისი ბეჭედი რომაელმა სენიციანმა მოიპარა. წერილში ნათქვამი იყო: „მას, ვისი სახელიც სენიციანია, არ ეღირსება ჯანმრთელობა, ვიდრე ბეჭედს ნოდენსის ტაძარში არ დააბრუნებს“.

ბევრისთვის ეს დეტალები ნაცნობი აღმოჩნდება – ოქსფორდის პროფესორმა და დამწყებმა ავტორმა ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენმა იცოდა დაწყევლილი ბეჭდის ამბავი და თავის რომანში „ბეჭდების მბრძანებელი“ გამოიყენა ეს ფაქტები.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


## რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“



რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს **„ივერონი – ხინკლის სახლი“**. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს **„ივერონი – ხინკლის სახლი“** მისი ხელმძღვანელის ქალბატონი **ნინო თევდორაშვილის** თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან **„ივერონი – ხინკლის სახლში“**. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

**რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“** – ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ!





# საერთო გაზეთი

**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 38 26 73; +995 32 38 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001